ნაციონალიზმის პრობლემა საქართველოში

დავით ლოსაბერიძე
კავკასიური ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ივნისი, 1998

შესავალი

აღნიშნული სამუშაოების ჩატარება შესაძლებელი გახდა 1996-1998 წლების ნატო-ს კვლევითი პროგრამის ფინანსური დახმარების შედეგად, პროექტის "ნაციონალიზმის პრობლემა საქართველოში" ფარგლებში, რის გამოც ფონდს დიდ მადლობას მოვახსენებთ.

აქვე გვინდა მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ ყველა ის პირი, რომელიც გვეხმარებოდა პროექტზე მუშაობის პერიოდში. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ:

- საქართველოს პარლამენტის კვლევითი სამსახურის თანამშრომლები;
- არასამთავრობო ორგანიზაცია "კივიტას გეორგიკა";
- გაზეთ "კავკასიონის" რედაქცია;
- საპარლამენტო ფრაქცია "სახალხო".

რა თქმა უნდა, კარგად გვესმის, რომ ჩატარებული სამუშაო სრულებითაც არ არის უნაკლო. ინფორმაციის მოპოვების სირთულეები ამ სფეროში მუშაობის პროცესში მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნიდნენ.

ამიტომაც პირველმკვლევართა უფლებით ვისარგებლებთ, პატიებას ვითხოვთ არსებული ხარვეზებისათვის და ვიმედოვნებთ, რომ სტატია დააინტერესებს მკითხველს და დაეხმარება მას საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში.

X X X

ზემოხსენებული პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ნაცონალიზმის პრობლემების ცალკე კონტექსტში აღწერა. მუშაობის პროცესში ნათელი გახდა, რომ ეს შეუძლებელია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების პროცესების ანალიზის გარეშე, ამიტომ გადაწყდა დასკვნები ანალიზის შემდეგ გაკეთებულიყო.

სტატიაში განხილულია სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრობლემები საქართველოში და საზოგადოების დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი. ყოველივე ეს, ბუნებრივია, არ შეიძლება გაემიჯნოს ნაციონალიზმის გამოვლინებების შესწავლას, ვინაიდან პოსტკომუნისტურ სივრცეზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესთა უმეტესობა სწორედ ნაციონალიზმის დროშით მიმდინარეობს.

სტატია შემდეგ მიზნებს ისახავს შეისწავლოს შემდეგი სახის პრობლემები:

- ნაციონალური ფაქტორის ზეგავლენა სახელმწიფო აპარატის გადაწყვეტილებათა მიღებისას და მისი მიზეზები;
- ბოლო წლებში განვითარებულ მიგრაციულ პროცესებზე ნაციონალური ფაქტორის ზეგავლენა;

- საქართველოში ნაციონალიზმის გამოვლინებათა შედარება ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებზე;

- საქართველოში ნაციონალიზმის განვითარების ზოგადი პერსპექტივების განსაზღვრა;

- რეკომენდაციათა შემუშავება სახელმწიფო სტრუქტურებისა და საქართველოში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ცალკეული მკვლევარებისათვის.

აღნიშნულ საკითხთა მიზეზების შესწავლა საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ ზოგადი კანონზომიერებანი, რომლებიც შეიმჩნევა საქართველოში ნაციონალიზმის პრობლემასთან დაკავშირებით.

უფრო კონკრეტულად ამ შემთხვევაში შემდეგი მიზნები იქნა დასახული:

- გაკეთებულიყო ქართული სახელმწიფოებრიობ სისტემების განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსი;

- აღწერილი ყოფილიყო ქვეყანაში დღესდღეობით არსებული სიტუაცია;

- წარმოჩენილიყო განვითარების ის ტენდენციები და პერსპექტივები, რომელიც ამ პროცესს ახასიათებს ნაციონალიზმის ასპექტში;

X X X

საქარველოს უახლესი ისტორიის ბოლო წლები მეტად მღელვარე აღმოჩნდა ქვეყნისათვის. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში (1991-1998 წ.წ.) დატრიალებულმა მოვლენებმა წარმოაჩინა ის პრობლემები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში გროვდებოდნენ ქვეყანაში.

სოციალისტური მეურნეობის ნგრევით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებულმა ეთნიკური თუ პოლიტიკური მიზეზებით გამოწვეულმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა.

ყოველივე ამას თან ერთვოდა და ერთვის მოსახლეობის მოუმზადებლობა ახალი ცხოვრების წესისადმი და სახელმწიფო სტრუქტურების უუნარობა როგორმე გადაწყვიტოს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მთელი კომპლექსი.

ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები გააჩნია. საქართველოს დღეს უწევს ისეთი საკითხების მოგვარება, რომლებიც ბოლო საუკუნეთა თუ ათწლეულთა მანძილზე უნდა ყოფილიყო მოგვარებული. თუ დასავლეთის ქვეყნებმა ეს პროცესი თანდათანობითი ევოლუციის შედეგად გაიარეს, იგივეს ვერ ვიტყვით პოსტკომუნისტურ ქვეყნებზე, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებზე. ეს უკანასკნელნი, რუსეთის ფედერაციის გამოკლებით, დიდი ხნის მანძილზე იყვნენ მოკლებულნი საკუთარ სახელმწიფოებრიობას და დღეისათვის იძულებულნი არიან, დროის უაღრესად მცირე მონაკვეთში დასძლიონ ის ჩამორჩენა, რომელიც მათ აშორებს უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებისაგან.

არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მმართველი წრეები თუ ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური ძალები ვერ ხედავენ აღნიშნულ გარემოებას. ამავე დროს, სხვადასხვა მოსაზრებების სიუხვე, და რაც მთავარია, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაუთვიცნობიერებლობა და სრული ინდეფერენტიზმი საკმაოდ დიდ წინააღმდეგობებს ქმნიან პრობლემის დაძლევის გზაზე.

ისტორია

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი ხდება ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიისათვის თვალის გადავლება.

ა. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებამდე

საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანთა ორგანიზებული თანაცხოვრების პირველ ეტაპად ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის ტომობრივი გაერთიანებები უნდა მივიჩნიოთ. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო მმართველობის პრიმიტიული ფორმები. ტომებს ტომთა საბჭოები და ბელადები ედგნენ სათავეში. ტომთა გაერთიანებებს კი დიდი ბელადები მართავდნენ. ქვეყნის მთიან რეგიონებში მმართველობის ეს ფორმა ანტიკურ და ელინისტურ ხანამდეც კი შემორჩა.

პირველ პროტო-ქართულ სახელმწიფოებად ჩვეულებრივ თვლიან დიაოხსა და კოლხას, რომლებიც ძვ .წ. II ათასწლეულის დასასრულს ყალიბდებიან სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ბარის ტერიტორიაზე. ერთადერთი, რაც ვიცით ამ პოლიტიკურ წარმონაქმნთა სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, ისაა, რომ ქვეყნის მართვა ხორციელდებოდა მეფის და მეფისნაცვალთა ინსტიტუტის მეშვეობით. ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებში მათ ცვლის სხვა ორი სახელმწიფო: ეგრისის, ანუ კოლხეთისა (დასავლეთ საქართველო) და ქართლის, ანუ იბერიის (აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო) სამეფოები. საისტორიო ტრადიცია მეფე ფარნავაზ I-ს (ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნა), იბერიაში ადმინისტრაციული რეფორმის ჩატარებას მიაწერს - ქვეყანა დაიყო საერისთაოებად და ერთ ცენტრალურ რაიონად (სასპასპეტოდ). იბერიის სამეფო საგვარეულოში არსებობდა მემკვიდრეობითობის გადაცემის არქაული წესი, ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა არა მეფის ძე, არამედ სამეფო საგვარეულოს უხუცესი პიროვნება.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური სისტემა ძირითადად ეყრდნობოდა ელინისტური პერიოდის გამოცდილებას. ქვეყანა კვლავ საერისთაოებად იყო დაყოფილი. ამავე პერიოდში იწყება ფეოდალური სეპარატიზმის ზრდა, რითაც კარგად ისარგებლეს ჯერ ირანმა და ბიზანტიამ, შემდეგ არაბებმა (IV-X საუკუნეები). დამპყრობელთა პოლიტიკური სისტემები ერთმანეთს გავდა. ქვეყანას მართავდნენ უმაღლესი მმართველები (მარზპანი - ირანიდან, თბილისის ამირა - არაბთა სახალიფოდან) და მათზე დაქვემდებარებული ცალკეული ოლქების მმართველები (პიტიახშები - ირანი და მცირე ამირები - სახალიფო). შუალედურ პერიოდში, როცა საქართველომ მოახერხა დამოუკიდებლობის მოპოვება (VI-VII საუკუნეები), ძლიერი სამეფო ხელისუფლების ნაცვლად ქვეყანაში გაბატონდა ერისმთავრობის ინსტიტუტი. ერისმთავარი წარმოადგენდა არა ერისთავთა სიუზერენს, არამედ პირველს თანასწორთა შორის.

VIII-X საუკუნეებში, არაბებისა და ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, იქმნება რამოდენიმე ფეოდალური სახელმწიფო, რომლებიც XI საუკუნეში ერთიანდებიან ერთ მონარქიად.

XI საუკუნის დასასრულიდან XIII დასაწყისამდე ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ესაა ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანა, როდესაც სახელმწიფოებრიობის განვითარებამ ყველაზე მაღალ წერტილს მიაღწია. უმაღლესი ხელისუფლება მეფის ხელში იყო მოქცეული. მის გვერდით არსებობდა სამეფო "დარბაზი", რომლის ფუნქციებიც თანდათან ფართოვდება, ისე რომ, რაღაც ეტაპზე იგი, მეფესთან ერთად, საკანონმდებლო გადაწყვეტილებებსაც იღებს.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ქმნიდა "სავაზირო", რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ცალკეულ უწყებათა (საგარეო და შინაგანი საქმეები, არმია, ფინანსები და ა. შ.) ხელმძღვანელები - ვაზირები (უხუცესები). თავის მხრივ ზოგიერთ უწყებაში შედიოდნენ ქვეუწყებებიც; გარდა ამისა, არსებობდნენ ცალკეული სამსახურები, რომელთა ხელმძღვანელებიც არ შედიოდნენ სავაზიროს შემადგენლობაში (მაგალითად დაზვერვის სამსახური - "მსტოვართა" ინსტიტუტი). უმაღლეს სასამართლო ინსტანციას, ისევე როგორც უმაღლეს სააპელაციო დაწესებულებას, "სააჯო კარი" წარმოადგენდა. ადგილებზე

მმართველობა ხორციელდებოდა პროვინციათა გამგებლების - "ერისთავების" მეშვეობით. სანაპირო ოლქებს განსაკუთრებული პრივილეგიები და ავტონომიური უფლებები გააჩნდათ, მათ "მონაპირე ერისთავები" მართავდნენ. საერისთაოები თავის მხრივ, იყოფოდნენ ხევებად, რომლებსაც ხევისთავები (მთიან ზონაში - ხევისბერები) განაგებდნენ. ქალაქებს განაგებდნენ ამირები და ამირთამირები, ხოლო დიდ ქალაქებს - ამირთ-ამირები. ყოველივე ეს სისტემატიზირებული და კოდიფიცირებული იყო სპეციალური კანონმდებლობით ("ხელმწიფის კარის გარიგება" და კანონთა კრებულები).

XIII-XV საუკუნეებში, ჯერ მონღოლთა, შემდეგ თემურლენგისა და ბოლოს, თურქმანთა შემოსევების შედეგად, საქართველო მეტად დასუსტდა და XV საუკუნის II ნახევარში დაიშალა რამოდენიმე პოლიტიკურ ერთეულად (ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები, სამცხის, სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიისა და სვანეთის სამთავროები). XVI-XVIII საუკუნეებში ქართული სახელმწიფოები განიცდიდნენ დასავლეთიდან ოსმანთა იმპერიის, ხოლო აღმოსავლეთიდან ირანის აგრესიას.

XVIII საუკუნის ბოლოდან კავკასიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი რუსეთის იმპერიამ. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფო) ანექსია რუსეთის მიერ, ხოლო მმართველობის ადგილობრივი სტრუქტურა მთლიანად რუსულით იქნა შეცვლილი. მომდევნო წლებში მთელი კავკასია და მათ შორის ქართული სახელმწიფო ერთეულებიც იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე კავკასია წარმოადგენდა სამეფისნაცვლოს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ გუბერნიები და ოლქები. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, მაზრებად იყოფოდნენ. 1914 წლისათვის დღევანდელი საქართველოს ტერიტორია შედიოდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის და სოხუმის ოლქების, ნაწილობრივ - შავიზღვისპირეთის გუბერნიის შემადგენლობში.

მკვიდრი მოსახლეობა ჩამოშორებული იყო სახელმწიფო მართვის სადავეებს. არ არსებობდა არავითარი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც მოსახლეობის ნების გამომხატველი იქნებოდა. კავკასიას არ შეხებია თვით ის ნახევრადლიბერალური რეფორმები სამხედრო, ადმინისტრაციულ და სასამართლო დარგში, რომლებიც XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საკუთრივ რუსეთში განხორციელდა.

X X X

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დაამხო რუსული თვითმპყრობელობა და ხელისუფლების სათავეში, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, დროებითი მთავრობა მოვიდა. ფაქტიურად, ყოფილი რუსეთის იმპერის მთელ სივრცეზე დამყარდა ორხელისუფლებიანობა: ძალაუფლება ეკუთვნოდა ერთის მხრივ დროებით მთავრობას, ხოლო მეორეს მხრივ, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს.

საქართველოში მოქმედ საბჭოებში, ყოფილი რუსეთის იმპერიის ბევრი სხვა რეგიონისგან განსხვავებით, თავიდანვე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურმა ფრთამ. დროებითი მთავრობის მიერ, ამიერკავკასიის მართვის მიზნით, 1917 წლის 18 მარტს შეიქმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც საზოგადოების მხარდაჭერით ვერ სარგებლობდა.

1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ამიერკაკასიის პოლიტიკური ძალების უმრავლესობამ არ ცნო ახალი ხელისუფლება. ხელისუფლების სათავეში მოვიდა ამიერკავკასიის კომისარიატი. პარალელურად დაიწყო ე. წ. "ეროვნული საბჭოების" შექმნა, რომლებიც ნაციონალისტურ პოზიციებზე იდგნენ. 1918 წლის 10 თებერვალს მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელშიც 95 დეპუტატი შედიოდა (მ.შ. 24 ქართველი მენშევიკი, 24 სომეხი დაშნაკი და 30 აზერბაიჯანელი მუსავატელი). 15 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა ძალაუფლება სეიმს გადასცა, რომელმაც, თავის მხრივ, 1918 წლის 9 აპრილს ამერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ახლადშექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა მეტად სუსტი ორგანიზმი აღმოჩნდა. მან ვერ შესძლო თურქული აგრესიის შეკავება. სისუსტის უმთავრესი მიზეზი იყო წინააღმდეგობა

ამერკავკასიის სამ უმთარეს ეთნოსს, აზერბაიჯანელებს, სომხებსა და ქართველებს შორის. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მას ორი დღის შემდეგ მიბაძეს სომხეთმა და აზერბაიჯანმა. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათავეში მოექცა ჯერ კიდევ 1917 წელს შექმნილი ეროვნული საბჭო, რომელმაც დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შემდეგ საქართველოს პარლამენტად გამოაცხადა თავი. 1919 წლის 14 თებერვალს საყოველთაო არჩევნების შედეგად შეიქმნა საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელშიც აბსოლუტური უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჰქონდა.

დამფუძნებელმა კრებამ თავის არსებობის 2 წლის მანძილზე მიიღო 126 კანონი. მათ შორის აღსანიშნავია კანონები რესპუბლიკის მოქალაქეობის, ადგილობრივ ორგანოთა არჩევნების, ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის, აგრარული, სასამართლო ორგანიზაციის, ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის, სახალხო განათლების ორგანოების გაეროვნულების შესახებ, აგრეთვე კანონები და დებულებანი, რომლებიც შეეხებოდნენ ფულისა და კრედიტების, საქართველოს რკინიგზის, ვაჭრობა-მრეწველობის ორგანიზაციას და სხვა საკითხებს.

აღმასრულებელი ხელისუფლების - მთავრობის თავმჯდომარეს პარლამენტი ირჩევდა 1 წლის ვადით (ერთი და იგივე პირი ზედიზედ შეიძლება არჩეულიყო მხოლოდ ორჯერ). მთავრობის თავმჯდომარის უფლებები განსაზღვრული იყო საპარლამენტო კანონით. იგი ნიშნავდა მინისტრებს, წარმართავდა რესპუბლიკის მართვა-გამგეობას, იყო რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი საერთაშორისო ურთიერთობებში.

დამფუძნებელმა კრებამ განსაზღვრა ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის ხასიათიც, რომელიც ემყარებოდა თვითმმართველობის და მმართველობის პრინციპთა შეთავსებას. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უნდა არჩეულიყო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით. მათ მინიჭებული ჰქონდა უფლება, ადგილობრივ გამოეცათ კანონის შესაბამისი დადგენილებანი. ასეთივე პრინციპებს ექვემდებარებოდა საქალაქო მმართველობა - მუნიციპალიტეტი. ამ პრინციპების საფუძველზე განხორციელდა 1919 წელს ადგილობრივ მმართველობათა (ერობების) და 4 ქალაქის მუნიციპალიტეტის არჩევნები.

1921 წლის 21 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მხრიდან დაწყებული აგრესიის პირობებში, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

1921 წლის 25 თებერვალს, მას შემდეგ, რაც დაძლიეს ქართული არმიის წინააღმდეგობა, თბილისში შემოვიდნენ საბჭოთა არმიის ნაწილები. საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მმართველობა ხელში აიღო მარიონეტულმა ორგანომ - საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა.

1922 წლის 4 მარტს მიღებულ იქნა საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. მიუხედავად ამისა, იმავე წლის 12 მარტს ქვეყანა შევიდა ამერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის (ასსფრ) შემადგენლობაში. თავის მხრივ, 1922 წლის 22 დეკემბერს რუსეთის საბჭოთა სოციალისტურმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ, უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა და ასსფრ-მ შექმნეს ახალი სახელმწიფო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ). 1927 წლის 3 აპრილს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელშიც საქართველო უკვე ცხადდებოდა ასსფრ-ს წევრად.

გარდა ამისა, გასაბჭოების შემდეგ საქართველოში შეიქმნა სამი ტერიტორიული ავტონომიური წარმონაქმნი, აქედან ორი - აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი - ეფუძნებოდა ეთნიკურ პრინციპს, ხოლო მესამე - აჭარა - კონფესიურს (აჭარლები ქართველი მუსლიმანები არიან). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აფხაზეთის და აჭარის ავტონომია დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციითაც იყო

გათვალისწინებული, სამხრეთ ოსეთის ოლქი კი პირველად ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ შეიქმნა.

1936 წლის 5 დეკემბერს ასსფრ დაიშალა და საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი პირდაპირ შევიდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში.

1937 წელს მიღებულ იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მესამე კონსტიტუცია. ეს კონსტიტუცია ფაქტიურად წარმოადგენდა სსრკ-ს 1936 წლის კონსტიტუციის გამეორებას რესპუბლიკურ დონეზე. ამ უკანასკნელით მნიშნელოვნად იქნა შეზღუდული რესპუბლიკების, როგორც კავშირის სუვერენული სუბიექტების, უფლებები.

1957 წელს, სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკისა და სსრკ-ში დაწყებული ნაწილობრივი ლიბერალიზაციის პირობებში, მოკაშირე რესპუბლიკებს კვლავ გაეზარდათ უფლებები. კერძოდ, მათ მიიღეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტების შექმნის უფლება. თუმცა ამას მხოლოდ ფიქტიური ხასიათი ჰქონდა: არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას ამ უფლებით არასოდეს უსარგებლია.

1977 წელს მიღებული იქნა სსრკ-ს ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუცია კვლავ განიხილავდა მოკავშირე რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, რომელსაც კავშირიდან გასვლის უფლება უნარჩუნდებოდა. 1978 წლის 15 აპრილს, სსრკ 1977 წლის კონსტიტუციის საფუძველზე მიღებულ იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია.

ამ, ისევე როგორც წინა, კონსტიტუციის მიხედვით ქვეყანაში ხელისუფლება ეკუთვნოდათ დეპუტატთა საბჭოებს. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. ამას გარდა არსებობდა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) წესიც. მაგრამ არანაირი რეალური ძალაუფლება ამ ორგანოებს არ გააჩნდათ: ქვეყნის წარმმართველ ძალას წარმოადგენდა სსრკ კომუნისტური პარტია, რომელსაც 1977 წლის კონსტიტუციამ ფორმალურად პირველად მიანიჭა ეს სტატუსი, მაგრამ ფაქტიურად ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგვე მიისაკუთრა იგი.

რესპუბლიკა იყოფოდა 65 რაიონად და 4 საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიად. ამას გარდა, არსებობდა 13 რესპუბლიკური და 1 საოლქო დაქვემდებარების ქალაქი. რესპუბლიკის შემადგელობაში შედიოდნენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ბ. საქართველო დამოუკიდებლობის პერიოდში

1988-89 წლებში, სსრკ ახალი ხელმძღვანელობის მიერ წამოწყებული რეჟიმის ლიბერალიზაციის (ანუ "გარდაქმნის და საჯაროობის" პოლიტიკის) ტალღაზე საქართველოში ჩამოყალიბდა მასობრივი და საკმაოდ რადიკალურად განწყობილი ეროვნული მოძრაობა, რომელიც თავის ძირითად მიზნებად სსრკ-გან გამოყოფას და კომუნისტური პოლიტიკური სისტემის ნგრევას ისახავდა. მოკლე ხანში ეს მოძრაობა, თუმცა მრავალ ფრაქციად დაქსაქსული, წამყვან პოლიტიკურ ძალად იქცა.

1991 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებზე ეროვნული მოძრაობის ყველაზე ძლიერმა ფრთამ - ბლოკმა "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და საპარლამენტო მანდატების თითქმის 70 პროცენტს დაეუფლა. აპრილში შეიქმნა პრეზიდენტის ინსტიტუტი, ხოლო პირველ საპრეზიდენტო არჩევნებზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა "მრგვალი მაგიდის" ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ.

ფაქტიურად, სახელმწიფოს სათავეში ყოფილი დისიდენტებისა და მარგინალიზებული სოციალური ფენების კოალიცია აღმოჩნდა, რომელსაც არ გააჩნდა ქვეყნის მართვის გამოცდილება.

გამოცდილების არქონა ნათლად გამოჩნდა ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ეკონომიკური ბერკეტებით მეურნეობის რეგულირება, ადამიანის ძირეული უფლებების დაცვა, უმცირესობათა პრობლემა, საგარეო პოლიტიკა და ა.შ..

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ხშირად ხდებოდა სახელმწიფოებრივის, ეროვნულისა და ეთნიკურის ურვთიერთგადაფარვა. ეთნიკურობის განცდა XIX საუკუნის საზოგადოებრივი მოძრაობების მითოსური აზროვნების ადეკვატური იყო.

საბჭოთა სისტემას ამ მხრივ არაფერი შეუცვლია. აღნიშნულ პერიოდში წინა პლანზე განასაკუთრებით წამოიწია პარასაზოგადოების მნიშვნელობამ - ანტისახელმწიფოებრივი აზროვნება ("ქურდული გაგება", კლანური აზროვნება, "ფულის მკეთებლობა") პიროვნებისა თუ სოციალური სტრატის პრივილეგირებულობის მაჩვენებლად იქცა.

სახელმწიფო სტრუქტურების ძლიერების პირობებში, როცა რეალური, კანონისმიერი წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო, სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ძალადობისადმი დაპირისპირების ერთადერთ საშუალებას დისიდენტობა წარმოადგენდა.

ეროვნულ რესპუბლიკებში აღნიშნული მოძრაობა ქმნიდა დასავლური დემოკრატიული ღირებებულებისა და ეთნიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩამოყალიბებული მითოსური აზროვნების ეკლექტიკურ ნარევს.

საბჭოური სისტემის კრიზისის დაწყებისას, ისეთ პირობებში, როცა არ არსებობდა ორგანიზაციულად გაფორმებული პოლიტიკური პლურალიზმი, დისიდენტური მოძრაობა კომუნისტური რეჟიმის ერთადერთ ალტერნატივად წარმოჩნდა.

თავისუფლების მოპოვების შემდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ლოზუნგებით მოსული პოლიტიკური ძალა, ფაქტიურად, პრივილეგირებული ფენების წინააღმდეგ და სოციალური რევანშის მოთხოვნით გამოვიდა.

ახალმა ხელისუფლებამ იმთავითვე გამოაცხადა კურსი სახელმწიფო დამოუკიდებლობაზე. მის ძირითად პრობლემებად იქცა ურთიერთობის გარკვევა სსრკ ცენტრალურ ხელისუფლებასთან და, განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ მოძრაობებთან, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნით უპასუხეს. ამ დაპირისპირებიდან გამომდინარე კონფლიქტებმა (ე.წ. "ეთნიკურმა კონფლიქტებმა") მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა პოსტკომუნისტურ საქართველოში პოლიტიკური პროცესების თავისებურება. კონფლიქტი იმდროინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის გარშემო გამსახურდიას მმართველობის პერიოდში სამხედრო დაპირისპირების ფაზაში გადაიზარდა. გარდა ამისა, ახალი ხელისუფლების ურთიერთობა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციასთან (ძირითადად, ეროვნული მოძრაობის სხვა ფრაქციებთან) თავიდანვე მწვავე და მზარდი კონფრონტაციის ნიშნით აღიბეჭდა. ამ განუწყვეტელი დაძაბულობის ფონზე, "მრგვალი მაგიდის" ხელისუფლებას, მიუხედავად კომუნისტურ სისტემასთან გამოცხადებული იდეოლოგიური დაპირისპირებისა, თითქმის არ განუხორციელებია პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები.

სახელისუფლებო სისტემის რეფორმებიდან აღსანიშნავია ქვეყნის პრეზიდენტისა და რაიონის ცენტრიდან დანიშნული ხელმძღვანელების - პრეფექტების ინსტიტუტების შემოღება. ორივე მათგანი აშკარად მართვის ცენტრალიზებული მოდელის შენარჩუნებაზე იყო მიმართული. ხელისუფლება ამას ეროვნული კონსოლიდაციის ამოცანებით ამართლებდა, მაგრამ ოპოზიცია ამის უკან კომუნისტური სისტემის მხოლოდ კოსმეტიკურ ცვლილებას და გამსახურდიას პირადი დიქტატურის დამყარების მცდელობას ხედავდა. ამავე პერიოდში შეიქმნა ეროვნული გვარდია, რომელიც არმიის ჩანასახი უნდა ყოფილიყო.

1991 წლის აგვისტოს ბოლოდან, "მრგვალ მაგიდაში" მომხდარი განხეთქილების შემდეგ, პოლიტიკური დაპირისპირება განსაკუთრებით მწვავე ფაზაში შევიდა. ეროვნული გვარდიის ნაწილთა უმრავლესობა მისი ხელმძღვანელის - თენგიზ კიტოვანის, მეთაურობით, გადაუდგა პრეზიდენტს, ხოლო პოლიტიკური ოპოზიციის თითქმის ყველა ფრთამ პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვა. გამსახურდიას ხელისუფლების წინაამღდეგ გაერთიანდა ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ლიბერალური ინტელიგენციის და კომუნისტური ნომენკლატურის უმრავლესობა.

კონფლიქტი, რომელმაც 1990 წლის ბოლოდან იჩინა თავი, 1991 წლის შემოდგომიდან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

1991-1992 წლების მიჯნა "თბილისური ზამთრის" მოვლენებით აღინიშნა. თბილისის ცენტრში მიმდინარე ორკვირიანი ბრძოლების შედეგად პრეზიდენტმა გამსახურდიამ ძალაუფლება დაკარგა.

დაპირისპირებამ აშკარად აჩვენა შედარებით მცირერიცხოვანი ოპოზიციის სიძლიერე, ოპოზიციისა, რომელიც ძირითადად დედაქალაქის ინტელიგენციის ზედაფენებისაგან შედგებოდა და რომლის ზურგს უკან რუსეთში მყოფი ქართული კომუნისტური ნომენკლატურა იდგა.

X X X

ქვეყნის მმართველობის სათავეში მოსულმა სამხედრო საბჭომ, რომელიც ორი გასამხედროებული შენაერთის, ეროვნული გვარდიისა და მხედრიონის ხელმძღვანელების, თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანისაგან შედგებოდა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთაგან შექმნილ სახელმწიფო საბჭოს ეყრდნობოდა, თავისი პოლიტიკის მთავრ მიზნად გამსახურდიას ნაციონალისტური და პრო-სოციალისტური პოლიტიკის შეცვლა გამოაცხადა. ამავე დროს მან თავისი საქმიანობა გაძევებელი ხელისუფლების მომხრეთა ("ზვიადისტთა") წინაამღდეგ რეპრესიებით დაიწყო.

1992 წ მარტში სამხედრო საბჭომ, რომელიც აშკარად ვერ ახერხებდა მდგომარეობის სტაბილიზაციას გადატრიალების შემდეგ, ქვეყნის ხელმძღვანელად იმხანად მოსკოვში მყოფი ედუარდ შევარდნაძე მოიწვია. ეს უკანასკნელი ფაქტიურად ყველა პოლიტიკური ძალისათვის აღმოჩნდა მისაღები: კომუნისტური ნომენკლატურა მასთან "ზასტოის" ოქროს ხანას აიგივებდა, დემოკრატიული ძალებისათვის იგი "ბერლინის კედლის დამანგრეველი" იყო, ეროვნული უმცირესობებისათვის კი გამსახურდიას რადიკალური ნაციონალიზმის ალტერნატივას წარმოადგენდა.

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებმა საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში ახალი საზოგადოების ლეგიტიმაცია მოახდინა. ახალ პარლამენტში, ფაქტიურად "ზვიადისტთა" გარდა, ყველა პოლიტიკური ძალა მოხვდა. გამსახურდიას ოპონენტთა ერთ-ერთი მთავარი პრეტენზიის, საპარლამენტო მმართველობის წესის მხარდაჭერის გამო შევარდნაძემ იმ დროისათვის თავი შეიკავა საპრეზიდენტო რესპუბლიკის შექმნისაგან და "სახელმწიფო მეთაურის" პოსტით დაკმაყოფილდა.

მაგრამ ქვეყნის საშინაო მდგომარეობა ამით არსებითად არ გაუმჯობესებულა. ფასების ლიბერალიზაციამ და პოლიტიკურმა დაპირისპირებამ მალე ახალი ხელისუფლების კრიზისი გამოიწვია.

ახალ არჩევნებში რეალურად ამომრჩეველთა აბსოლუტური რაოდენობის მხოლოდ ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. გამსახურდიას მომხრეებმა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) და ეროვნულმა უმცირესობებმა (განაპირა, სასაზღვრო რეგიონებში) არჩევნებს ფაქტიური ბოიკოტი გამოუცხადეს.

ქვეყნის ტერიტორიის საგრძნობ ნაწილს აკონტროლებდნენ გამსახურდიას მომხრეები (დასავლეთ საქართველოში) და სეპარატისტული მოძრაობები (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში), რომლებიც არ ცნობდნენ შევარდნაძის ხელისუფლებას. უფრო

მეტიც, ყოფილი სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტამ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც გააძლიერა ექსტრემისტთა პოზიციები. 1992 წლის აგვისტოში დაიწყო ომი აფხაზეთში, რომელიც 1993 წლის სექტემბერში ცენტრალური ხელისუფლების სრული დამარცხებით დამთავრდა. შევარდნაძის და საერთოდ სამოქალაქო ხელისუფლების პოზიციები არც ცენტრში იყო ძლიერი: გამსახურდიას გამძევებელი შეიარაღებული შენაერთები სამოქალაქო ხელისუფლების კონტროლს თითქმის არ ექვემდებარებოდნენ და შევარდნაძეს მხოლოდ საგარეო პოლიტიკის სფეროს უთმობდნენ. იმდროინდელი ვითარება ხშირად აღიწერებოდა, როგორც ანარქიასთან მიახლოებული.

X X X

1992-1995 წლებში პოლიტიკური მანევრირების შედეგად ედუარდ შევარდნაძემ თანდათანობით მოახერხა თავისი პოზიციების განმტკიცება და მოწინააღმდეგეების დასუსტება ან (გასამხედროებული შენაერთების შემთხვევაში) სრული დამარცხება. თავდაპირველად, ეს მოხდა რუსეთის გარკვეული დახმარებითაც. 1993 წლის ოქტომბერში სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანების შესახებ და აიღო კურსი რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე. ამან ეჭვის ქვეშ დააყენა ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობა, სამაგიეროდ მოხერხდა დასავლეთ საქართველოში "ზვიადისტური" ძალების განადგურება. ამის შემდეგ რუსეთს ნაკლები გავლენა ჰქონდა საქართველოს საშინაო ვითარებაზე, ამავე დროს ე.შევარდნაძის და მასთან ერთად სამოქალაქო ხელისუფლების პოზიციები თანდათან ძლიერდებოდა.

1995 წლის აგვისტოში მიღებულ იქნა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ამერიკულ ნიმუშთან მიახლოებული საპრეზიდენტო სისტემა შემოიღო. ე.შევარდნაძის მდგომარეობა განსაკუთრებით განმტკიცდა 1995 წლის 29 აგვისტოს მის წინააღმდეგ განხორციელებული წარუმატებელი ტერორისტული აქტის შემდეგ. მან გაანეიტრალა ყველაზე ძლიერი გასამხედროებული შენაერთი - მხედრიონი და არსებითად დაასუსტა პრო-რუსული და ნეოკომუნისტური ორიენტაციის ძალები სახელმწიფო აპარატსა და სპეცსამსახურებში.

1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების შედეგად ედუარდ შევარდნაძე, ხმების 78 პროცენტით, პრეზიდენტად იქნა არჩეული. პარლამენტში ფაქტიურად ერთადერთ რეალურ ძალად საკმაოდ ამორფული, მაგრამ შევარდნაძის პოლიტიკის უსიტყვოდ მხარდამჭერი "მოქალაქეთა კავშირი" იქცა. ოპოზიციური პარტიებიდან მხოლოდ ერთ-ერთი ყველაზე ზომიერი - ეროვნულ-დემოკრატიული - მოხვდა პარლამენტში. ოპოზიციური პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტს გარეთ აღმოჩნდა. ადგილობრივმა დამკვირვებებლებმა, რომლებიც მოქმედებდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" ეგიდით, მთელ რიგ უბნებში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს, მაგრამ არჩევნების შედეგები არსებითად კითხვის ქვეშ მათ არ დაუყენებიათ.

ახალი, ფაქტიურად მონოპარტიული პარლამენტის წინაშე დადგა ძლიერი საკანონმდებლო ბაზის შექმნის პრობლემა. 1995-1998 წლებში მიღებულ იქნა კანონთა პაკეტების მთელი რიგი.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრი რამ ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. კანონები ხშირად ურთიერთგამომრიცხველია, ხოლო "მოქალაქეთა კავშირის" გარეგნული ერთობა მოჩვენებითია, მასში გაერთიანებულ ძალთა სხვადასხვა პოლიტიკური თუ სხვა სახის ურთიერთმიმართებათა გამო.

მოსახლეობის პოლიტიკური ინდეფერენტიზმი და აპარატის მნიშვნელოვანი ნაწილის კორუმპირებულობა კიდევ უფრო გაურკვეველს და დროში გაწელილს ხდის მიმდინარე რეფორმების პროცესს.

ქართული სახელმწიფო დღეს

დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდგომი წლები საქართველოსთვის მეტად მძიმე გამოცდად იქცა. ეთნოკონფლიქტები და სამოქალაქო დაპირისპირება, დიდი ეკონომიკური კრიზისი და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის გამწვავება ქვეყნის განვითარების შემაფერხებელ გარემოებებად იქცნენ.

პოლიტიკური სიტუაციის ხშირი ცვლა კარგადაა ასახული ბოლო წლების საკანონმდებლო პროცესში.

1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, შეიცვალა სახელმწიფო ატრიბუტიკა, მაგრამ საკანონმდებლო აქტივობა ამ ეტაპზე ამით ამოიწურა.

X X X

1991-1992 წლების "თბილისური ზამთრის" მოვლენების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული ჯერ სამხედრო, შემდეგ სახელმწიფო საბჭოს უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტად უნდა ჩაითვალოს საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენა 1992 წლის 21 თებერვალს.

1995 წლის 1 აგვისტოს, ხანგრძლივი დებატების შედეგად, პარლამენტმა მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია.

კონსტიტუცია ეფუძნებოდა 1991 წლის 31 მარტის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შედეგებს (1 მუხლი); საქართველოს საზღვრები ცნობილ იქნა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით (2 მუხლი); აღიარებულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესობა ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით (6 მუხლი); სახელმწიფო მოხელეებს აეკრძალათ რომელიმე პარტიის წევრად ყოფნა (26 მუხლი); საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნით: პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, ფრაქციას, საპარლამენტო კომიტეტს, ავტონომიურ წარმონაქმნებს ან 30.000 ამომრჩეველს (67 მუხლი); რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს პრეზიდენტის, პარლამენტის ან 200.000 ამომრჩევლის ინიციატივით, ამავე დროს რეფერენდუმის მოწვევა არ შეიძლება რომელიმე კანონის მიღების ან გაუქმების მიზნით (74 მუხლი).

საკანონმდებლო კონფლიქტების გადასაწყვეტად დაარსებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც სარჩელის წაყენების უფლება აქვთ: პრეზიდენტს, პარლამენტის წევრთა 1/5, სასამართლოს, ავტონომიურ ერთეულებს ან რიგით მოქალაქეს (89 მუხლი); კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივით შეიძლება წარდგნენ: პრეზიდენტი, პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარი ან 200.000 ამომრჩეველი (102 მუხლი).

ახალ კონსტიტუციაში ღიადაა დატოვებული საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი. აღნიშნულია, რომ იგი გადაწყდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ სპეციალურად მიღებული ორგანული კანონით (2 მუხლი).

თუმცა, დემოკრატიული ქვეყნის შესაფერისი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კერძოდ, განსაკუთრებით სასწრაფოდ მიიჩნევა ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღება, როგორიცაა საპროცესო კოდექსი, კანონები ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ მმართველობის ორგანოთა ბიუჯეტების შესახებ, ინფორმაციის თავისუფლების, ტელე და რადიომაუწყებლობის შესახებ და სხვა.

ცალკე პრობლემაა არსებულ კანონთა ურთიერთშეუსაბამობა. 1997 წლის აგვისტოში, ფოთში გამართულ გამსვლელ სესიაზე პარლამენტის მიერ აღიარებულ იქნა, რომ 157 კანონია შესაცვლელი და 55 კი - კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანი. მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის ხელისუფლების სხვადასხვა შტოთა თუ ცალკეული უწყებების დებულებების თუ განაწესების ურთიერთშეუსაბამობა. ხშირია შემთხვევები, როცა ცალკეული სამინისტრო თუ დეპარტამენტი

თვითნებურად იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან არათუ სხვა უწყებათა სამოქმედო დებულებებთან, არამედ მთელ რიგ კანონებთან (მათ შორის ორგანულებთანაც).

მაგრამ საკანონმდებლო პრობლემების გარდა, საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის აშენების სიძნელეები სახელმწიფო მართვის პრაქტიკასთან არის დაკავშირებული.

სახელმწიფო მშენებლობა საქართველოში წარიმართა პოლიტიკური კონიუქტურის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცნენ ძალოვანი სტრუქტურები - იწყება შტატების ზრდა, ხოლო ამ უწყებათა მეთაურებად ინიშნებოდნენ პრო-რუსული ორიენტაციის პიროვნებები (1994 წლის მარტი-აპრილი).

საზოგადოების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს კორუფციის მეტად ფართო გავრცელება სახელისუფლებო სტრუქტურებში. ამ პროცესის უკან ხშირად დგანან სხვადასხვა მაფიოზური კლანები. 1994 წლის 31 მაისს შეიქმნა ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფცასთან მებრძოლი საპარლამენტო კომისია, მაგრამ მისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე რაიმე სახის წარმატებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ყოველივე ზემოთქმული პრობლემებს უქმნის არამარტო მოქალაქეებს და ბიზნესს: საგადასახადო და საბაჟო სამსახურების უუნარობა ადექვატური შენატანებით შეავსონ ქვეყნის მეტად მწირი ბიუჯეტი, საბოლოო ჯამში, მთელი სახელმწიფო სტრუქტურის არაეფექტურობის გამოხატულებაცაა და მიზეზიც. კომუნისტური ეპოქიდან მემკვიდრეობით შემორჩენილი სახელისუფლებო სტრუქტურების და ბიუროკრატიული კლასის არადემოკრატიული ჩვევები აგრეთვე დიდ პრობლემებს უქმნის დემოკრატიულ ტრანსფორმაციას. განსაკუთრებით ეს ეხება სამართალდამცავ სფეროს, რომელშიც დემოკრატიული რეფორმების გატარების მცდელობა დიდ წინაამღდეგობებს აწყდება.

სახელმწიფო გადატრიალებით გამოწვეულმა ხელისუფლების ლეგიტიმურობის კრიზისმა, ომში დამარცხებამ, ცხოვრების დონის მკვეთრმა დაქვეითებამ, კორუფციის ფართო გავრცელებამ გამოიწვია პოლიტიკური ენთუზიაზმის თავდაპირველი ტალღის შეცვლა ხელისუფლებისაგან გაუცხოებისა და ცინიზმის გრძნობით. მეტად სუსტია პოლიტიკური პარტიები. მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებისა, საზოგადოდ სუსტია სამოქალაქო საზოგადოების როლი, იგრძნობა სამოქალაქო აღზრდის აუცილებლობა.

სახელმწიფო სტრუქტურები

სანამ საზოგადოებაში არსებულ ტენდენციებს განვიხილავთ, სასურველია ქართული სახელმწიფო სტრუქტურის ზოგადი ანალიზი. ქვემოთ ცალცალკეა განხილული სახელმწიფო სისტემის სხვადასხვა განშტოებების როლი სახელმწიფო მშენებლობის პროცესში.

ა. პარლამენტი

პარლამენტის როლი და ადგილი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო ნათლად იკვეთება. საზოგადოებაში, რომელსაც არ გააჩნდა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ტრადიცია, თანდათანობით ხდება საკანონმდებლო სტრუქტურის მნიშვნელობის გააზრება.

ბუნებრივია, ეს პროცესი უმტკივნეულო ვერ იქნება. ძალზე ხშირად ვერც მოსახლეობას, ვერც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და უფრო მეტიც, თვით პარლამენტსაც ვერ გაუაზრებია ამ უკანასკნელის უფლება-მოვალეობანი.

ასეა თუ ისე, პარლამენტარიზმს საქართველოში უკვე გააჩნია თავისი ტრადიციები. 1990 29 ოქტომბერს, 1992 11 ოქტომბერსა და 1995 5 ნოემბერს ჩატარებულმა სამმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა გარკვეული გამოცდილების დაგროვებას შეუწყო ხელი.

1992 წლის არჩევნები ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. ამ არჩევნების შედეგად საქართველოს ისტორიაში ყველაზე მრავალპარტიული პარლამენტი მივიღეთ. პარლამენტში მოხვედრილი 26 პოლიტიკური პარტიიდან თუ ბლოკიდან მხოლოდ პირველ ხუთს გააჩნდა დეპუტატთა მანდატების 5-13%.

შედარებით გვიან იწყებს გაძლიერებას ახალი პოლიტიკური ძალა - "საქართველოს მოქალაქეთა კავშირი" - (სმკ), რომელიც ფაქტიურად ედუარდ შევარდნაძის ქარიზმის გარშემო შეკრებილ, სხვადასხვა პოლიტიკური თუ იდეოლოგიური მრწამსის მქონე სოციალურ ძალთა კონგლომერატს წარმოადგენდა.

სმკ-სა და უშუალოდ შევარდნაძის პოზიციები განსაკუთრებით გაძლიერდა სახელმწიფოს მეთაურზე 1995 წლის 29 აგვისტოს განხორციელებული უშედეგო თავდასხმის შემდეგ.

1995 წლის 5 ნოემბერს ჩატარებულმა არჩევნებმა შევარდნაძეს დამაჯერებელი გამარჯვება მოუპოვა. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კომისიაში 54 პარტია და ბლოკი იყო რეგისტრირებული, 150 სადეპუტატო მანდატიდან სმკ-მ 88 მოიპოვა, ასევე დამაჯერებელი იყო მისი გამარჯვება 85 ერთმანდატიან ოლქში.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა არჩევნებთან შედარებით დაბალი იყო არჩევნებში მონაწილეთა ოდენობა (63%), ამომჩეველთა ხმების დაახ. 60% დაიკარგა 5%-იანი ბარიერის არსებობის გამო. ამავე დროს როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დროს ადგილი ჰქონდა საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევებს სახელმწიფო სრუქტურების მხრიდან.

ახალმა, ფაქტიურად ერთპარტიულმა პარლამენტმა გააგრძელა წინამორბედთა მიერ დაწყებული საკანონმდებლო მოღვაწეობა. იგი წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით უფრო პროდუქტიულია და 1990-1991 წლების უზენაეს საბჭოს მოგვაგონებს როგორც მიღებულ კანონთა მრავალრიცხოვნებით, ისე მათი არაეფექტურობითაც.

გ. აღმასრულებელი ხელისუფლება

პრეზიდენტის თანამდებობა 1991 წლის 9 აპრილს იქნა შემოღებული. პირველი საპრეზიდენტო არჩევნები კი იმავე წლის 26 მაისს ჩატარდა.

1992 წლის 6 ნოემბერს მიღებული სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მიხედვით პრეზიდენტის ინსტიტუტი გაუქმდა და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა. ამ კანონის 17 მუხლის მიხედვით სახელმწიფოს მეთაურს პარლამენტის თანხმობის გარეშე არ ჰქონდა უმაღლეს ჩინთა მოხსნის უფლება, ხოლო თვით მისი გადაყენება 19 მუხლის თანახმად შეეძლო პარლამენტის 2/3-ს.

ამისდა მიუხედავად, სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებანი მაინც მნიშვნელოვნი იყო. აღნიშნული კანონის თანახმად მის დაქვემდებარებაში იქმნებოდა ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც საკმაო უფლებამოსილებანი გააჩნდა, განსაკუთრებით საგანგებო მდგომარეობის დროს. ამავე დროს 1992 წლის 24 დეკემბერს სახელმწიფოს მეთაურმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მიიღო ადგილობრივი მმართველობის თავმჯდომარეთა დანიშვნის უფლება.

1995 წლის კონსტიტუციით კვლავ იქნა შემოღებული პრეზიდენტის ინსტიტუტი. რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელის უფლებები მეტად გაიზარდა.

1995 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად შეცვალა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა. პრემიერ-მინისტრის თანამდებობა გაუქმდა, აღმასრულებელი ხელისუფლების უშუალო ხელმძღვანელად პრეზიდენტი გამოცხადდა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ თვით კონსტიტუციაში მთავრობის მოვალეობათა აღმწერი ნაწილი არ არის და აღმასრულებელი სტრუქტურა განხილულია მხოლოდ პრეზიდენტის უფლება-მოვალეობათა კონტექსტში.

1995 წლის 8 დეკემბერს მიღებული, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ, კანონის 1 მუხლის თანახმად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად საქართველოს პრეზიდენტი ცხადდებოდა. უშუალოდ მართვა ხორციელდებოდა სახელმწიფო კანცელარიის მეშვეობით, სახელმწიფო მინისტრით სათავეში.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში შევარდნაძემ არჩევნებში მონაწილეთა ხმების 73% მიიღო და შორს მოიტოვა უკან პრეზიდენტობის 5 სხვა კანდიდატი.

X X X

1997 წლის 3 მაისს ძალაში შევიდა ახალი კანონი სახელმწიფო მოწყობის შესახებ, რომელმაც ფაქტიურად გაიმეორა წინა კანონის ძირითადი პრინციპები.

აღმასრულებელი ხელისუფლების სქრუქტურას ქმნიან:

პრეზიდენტი
სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო კანცელარიის მეთაური)
20 სამინისტრო (განათლების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსერს დაცვის, ეკონომიკის, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, თავდაცვის, იუსტიციის, კავშირგაბმულობისა და ფოსტის, ლტოლვილთა და განსახლების, მრეწველობის, საგარეო საქმეთა, სათბობისა და ენერგეტიკის, სახელმწიფო უშიშროების, სახელმწიფო ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, სოციალური დაცვისა და შრომა-დასაქმების, ტრანსპორტის, ურბანიზაციისა და მშენებლობის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, ჯანდაცვის);
16 სახელმწიფო დეპარტამერტი (ახალგაზრდობის საქმეთა, გეოდეზისა და კარტოგრაფიის, გეოლოგიის, დაზვერვის, დაცულ ტერიტორიათა, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის, ვეტერანთა საქმეთა, მატერიალური რეზერვების, მიწის მართვის, საავტომობილო გზათა, სასაზღვრო დაცვის, სატყეო მეურნების, სახელმწიფო არქივი, სპორტის, სტატისტიკის, სტანდარტიზაცია-მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის, ტურიზმის);
2 სახელმწიფო ინსპექცია (სახელმწიფო საიდუმლეობათა დაცვის, ტექნიკური ზედამხედველობის).

1997 წლის 7 მაისს ძალაში შევიდა კანონი კონტროლის პალატის შესახებ, რითაც ეს ორგანო, ფაქტიურად პარლამენტის კონტროლს დაექვემდებარა.

მინისტრთა კაბინეტს, ტრადიციულად, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, ძირთადად ეკონომიკის მართვა და რეგულირება ევალებოდა. სახელმწიფოს პოლიტიკისა თუ ეროვნული სტრატეგიის განსაზღვრაში მისი როლი მიზერული იყო და არის. მთავრობა, როგორც წესი, გვევლინება გარკვეული პოლიტიკური ძალების (ჯერ კომპარტია, შემდეგ ნაციონალისტური ძალები, ბოლოს შევანდნაძის გარშემო გაერთიანებული მოქალაქეთა კავშირი) ნების უსიტყვო შემსრულებლად.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სახელმწიფო აპარატის შენახვის წილი ქვეყნის ეროვნულ ბიუჯეტში განუხრელად იზრდება. 1991 წელს იგი შეადგენდა ბიუჯეტის 0.83%, 1992 - 2.02%, 1994 - 5.61%, 1995 - დაახ. 35%, 1997 - 38.6%.

აღნიშნული გარემოება განპირობებულია, ერთის მხრივ, ეროვნული შემოსავლისა და შესაბამისად საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებით, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფო აპარატის,

განსაკუთრებით ძალოვანი სამინისტროების შემადგენლობის მკვეთრი ზრდით - თუ ამ უკანასკნელთა სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობა 1990 წელს არ აღემატებოდა დაახლ. 25 ათას კაცს, 1997 წელს მათი რიცხვი გასამკეცდა და დაახლ.75 ათასს მიაღწია.

გ. სასამართლო

1997 წლის 13 ივნისს მიღებულ იქნა ახალი კანონი სასამართლო სისტემის შესახებ.

კანონის მიხედვით იქმნება: რაიონული (სქალაქო), საოლქო, სააპელაციო (ავტონომიური რესპუბლიკების, თბილისისა და ქუთაისის), აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი, საქართველოს უზენაესი სასამართლოები. საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.
საქართველოს უზენაეს სასამართლოს წევრებს ირჩევი საქართველოს პარლამენტი პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო ავტონომიათა უმაღლეს სასამართლოთა წევრებს - ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით. ყველა ქვედა დონის მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
მოსამართლედ აირჩევა (ინიშნება) 30 წელს გადაცილებული პირი, 10 წლის ვადით.
სასამართლო სისტემაზე მეთვალყურეობის განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან იქმნება სათათბირო ორგანო, იუსტიციის საბჭო. ანალოგიური საბჭოების იქმნებიან ავტონომიურ რესპუბლიკებშიც.

კონსტიტუციის მიხედვით გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადა 5 წელია.

კონსტიტუციის თანახმად, კონფლიქტების გადასაწყვეტად 1996 წლის 31 იანვარს გამოვიდა ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. სასამართლოში, რომელიც სასამართლო მოწოდებულია კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა დასაცავად, სარჩელის წაყენების უფლება აქვთ: პრეზიდენტს, პარლამენტის წევრთა 1/5, სასამართლოს, ავტონომიურ ერთეულებს ან რიგით მოქალაქეს; კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივით შეიძლება წარდგნენ: პრეზიდენტი, პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარი ან 200.000 ამომრჩეველი.

სასამართლო შედგება 10 წლის ვადით დანიშნული 9 წევრისაგან, რომელთა მესამედს ნიშნავს პრეზიდენტი, მესამედს - პარლამენტი მინიმუმ ხმათა 60%, ხოლო მესამედს - უზენაესი სასამართლო. 15 მუხლის თანახმად საკონტიტუციო სასამართლოს წევრის დაკავება არ შეიძლება საკონტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე.

საერთოდ სასამართლო სისტემა საქართველოში სახელმწიფო სისტემის სხვა განშტოებებთან შედარებით ბევრად მძიმე მდგომარეობაშია.

კვალიფიციური მოსამართლეების სიმცირე, სასამართლო სისტემის დაუხვეწაობა და საბჭოური პერიოდიდან მომდინარე სასამართლოს, როგორც ასეთის, ცუდი რეპუტაცია განაპირობებს სასამართლო სისტემის დაბალ პრესტიჟს მოსახლეობაში.

დ. რეგიონები

ძველი სისტემის კრახმა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დააყენა ახალი სისტემის შექმნის აუცილებლობა. რეგიონების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ გაართულა იმ გარემოებამაც, რომ მთელი რიგი რეგიონები ამ დამოუკიდებლობას ეთნიკური ნიშნიდან გამომდინარე მოითხოვდნენ. საქართველოში ასეთ რეგიონებად წარმოჩნდენ აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთი და სომხური მოსახლეობით დასახლებული ჯავახეთი სამხრეთ საქართველოში.

ასეთმა პროცესებმა მეტად შეაშფოთა ცენტრი. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ძირითადი ბირთვი სწორედ დედაქალაქში ფუნქციონირებს. ფართო ავტონომიების წინააღმდეგ გამოვიდა იმ ძალათა ნაწილი, რომელიც ადრე ფედერალიზაციის მომხრე იყო. პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების მთელი რიგი დღესდღეობით თანახმაა შეზღუდოს თვითმმართველობა რეგიონებში სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მოტივით.

სამწუხაროდ, გარეშე ძალთა ჩარევამ ქვეყნის ცხოვრებაში მეტად გააძლიერა სეპარატიზმის პოზიციები და ზემოაღნიშნული უნიტარისტული ტენდენციები მოვლენებზე საპასუხო რეაქციად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნულმა გარემოებამ წარმოშვა კიდევ ერთი ტენდენცია. მხედველობაში გვაქვს ზოგი პოლიტიკოსის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ თვითმმართველობა მხოლოდ ე.წ. პირველ დონეზე, ქალაქისა თუ სასოფლო თემის ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების კომპეტენციათა გაზრდით უნდა შემოიფარგლოს, ხოლო რეგიონულ დონეზე თვითმმართველობა დაუშვებელია.

ადგილობრივი მმართველობის სისტემა, მისი მოწყობა და ფუნქციონირება საქართველოში სახელმწიფო მშენებლობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. თუ ცენტრალური ხელისუფლების, განსაკუთრებით პაოლამენტისა და მთავრობის საკანონმდებლო ბაზა და მოქმედების წესი ასე თუ ისე გარკვეულია, ქვეყნის ადგილობრივი მოწყობის საკითხში ჯერ კიდევ ბევრი რამ ბურუსითაა მოცული.

საბჭოური სისტემის შეცვლის პირველ პოსტსაბჭოურ ცდას წარმოადგენდა 1991 წლის 23 აპრილს მიღებული კანონი პრეფექტურის შესახებ. ამავე წლის 14 მაისს კი გამოვიდა კანონი საკრებულოების შესახებ. კანონით იქმნებოდა არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც მართავდა საკრებულოს გამგეობა გამგებლით სათავეში. საკრებულო ამტკიცებდა ბიუჯეტს და ირჩევდა გამგეობას და გამგებელს, რომელსაც წარადგენდა პრეფექტი.

შემდგომი კანონმდებლობითი საქმიანობა წარიმართა კონკრეტული პრობლემების მოგვარების მიმართულებით. 1991 წლის 23 მაისს დამტკიცდა საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის გადაწყვეტის წესი, რომლის თანახმადაც ტერიტორიულ ერთეულებს რაიონი, ქალაქის რაიონი და თემი, ხოლო დასახლებულ პუნქტებს - ქალაქი, ქალაქის ტიპის დაბა და სოფელი წარმოადგენდნენ. 10 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონი თბილისის მმართველობის შესახებ. ქალაქი დაიყო 10 რაიონად და 1 დაბად; ხელისუფლების ორგანოებს - რაიონის საკრებულო და თბილისის საკრებულო, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს - პრეფექტურები და მერია წარმოადგენდნენ.

1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ იქნა ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა - საკრებულოების არჩევნები.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ პრეფექტის ინსტიტუტი გაუქმებულ იქნა და მთელი ძალაუფლება გამგებლებს გადაეცათ.

1992 წელს აღდგენილ 1921 წლის კონსტიტუციას ფაქტიურად არავითარი გავლენა არ მოუხდენია ადგილობრივი მმართველობის სისტემაზე. 1992 წლის ნოემბრიდან 1993 წლის ივნისამდე გამოვიდა სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის 4 ურთიერთგამომრიცხავი დადგენილება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

1993 წლის 2 აგვისტოს გამოიცა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება # 93 - საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების დროებითი მმართველობის შესახებ. ბრძანებულების თანახმად, რაიონებში ხელისუფლების ორგანოებს საკრებულოები, ხოლო მმართველ ორგანოებს გამგეობები ქმნიდნენ. საკრებულოს შემადგენლობაში

შედიოდნენ გამგეობისა და საკრებულოს წევრები, ასევე რაიონში მოქმედ პარტიათა 2-2 წარმომადგენელი. 10 მუხლის თანახმად საკრებულოს კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის გაუქმება შეეძლო პარლამენტსა და სასამართლოს. 12 მუხლის თანახმად გამგეობა წარადგენდა ბიუჯეტის პროექტს და ახორციელებდა ადმინისტრაციულ მართვას. გამგებელს ორჯერ შეეძლო საკრებულოს გადაწყვეტილებისათვის ვეტოს დადება.

აღნიშნული ბრძანებულების თანახმად ახალი კონსტიტუციის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვეში უნდა დანიშნულიყო თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები, რაც არ იქნა რეალიზებული.

1995 წლის კონსტიტუციაში ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემა არ იქნა შექმნილი. აღნიშნული საკითხი განხილულ უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა ორგანული კანონით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.

1997 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ.

ადგილობრივი მმართველობის სფეროში ყველაზე დიდი ცვლილება დაკავშირებულია მმართველობის შუალედური (რეგიონალური) რგოლის, რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის (მომავალში - გუბერნატორის) ინსტიტუტის შემოღებასთან.

ქვეყნის რეგიონალური მოწყობის საკითხი როგორც საზოგადოებაში, ისე პოლიტიკურ წრეებში ყოველთვის მტკივნეულად აღიქმეოდა, რისი მიზეზიც განაპირა რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები იყვნენ. უკანასკნელი წლების მანძილზე მდგომარეობა რამდენჯერმე კრიტიკულიც გახდა. აღნიშნული დაპირისპირებების ბოლო მაგალითს წარმოადგენს 1995 წლის 7 აგვისტოს ჯავახეთის 7 სომხური ნაციონალისტური ორგანიზაციის წერილი საქართველოს პარლამენტს, სადაც ისინი ჯავახეთის საქართველოსგან გამოყოფასა და სომხეთთან შეერთებას ითხოვდნენ. საპასუხო რეაქციად ქართულ მხარეს "ძლიერი ხელის" პოზიცია გააჩნია.

X X X

არანაკლებ მწვავედ დგას ცენტრის ურთიერთობა იმ რეგიონებთან, რომლებიც ეროვნული უმცირესობებით არ არიან დასახლებულნი. აქ რამდენიმე მიზეზი უნდა გამოიყოს:

- უპირველეს ყოვლისა, სახეზეა იდეოლოგიური ხასიათის დაპირისპირება, რის მაგალითადაც შეიძლება მოვიყვანოთ მმარველი პარტიის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შემადგენლობა. თუ პარტიის ცენტრალურ აპარატში ლიბერალური, პროდასავლური ორიენტაციაა გაბატონებული, რეგიონებში პარტიის ძირითად ბირთვს კონსერვატულად განწყობილი ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა ქმნის, რომელიც "მკაცრი ხელისა" და სახელმწიფო ეკონომიკის მომხრედ გვევლინება;

- მეორე მიზეზს წარმოადგენს ზოგ რეგიონში არსებული ტრაიბალისტური ტენდენციები, რომლებმაც 90-იან წლებში უფრო იჩინა თავი. ამ გარემოებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დედაქალაქის პრივილეგირებულ, "ელიტალურ" მოსახლეობასა და პროვინციათა მოსახლეობას შორის. ამ მხრივ განსაკუთრებთ აღსანიშნავია სამეგრელოს რეგიონი, რომელიც ექს-პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა ძირითად საყრდენს წარმოადგენდა. თუმცა მუდმივმა საომარმა მდგომარეობამ გადაღალა მოსახლეობა. 1994 ივნისში სამეგრელოს 4 ოლქში ჩატარებულმა არჩევნებმა თითქმის უექსცესოდ ჩაიარა, ოფიციალური მონაცემების მიხედვით კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 60%;

- მნიშვნელოვანია დაპირისპირება ადგილობრივ და ცენტრალურ ჩინოვნიკურ ნომენკლატურასა და მაფიოზურ კლანებს შორის. ხშირად ეს პროცესი საკმაოდ მწვავე სახეს იღებს, რის მაგალითადაც

შეიძლება მოვიყვანოთ დაპირისპირება თბილისისა და ფოთის მერიას შორის, რაც 1995 წლის 8 ივლისს ფოთი მერის, რომან მელიას გადაყენებთ დასრულდა. იგი შეცვალა თბილისის კანდიდატმა, პარლამენტის ყოფილმა წევრმა ნუგზარ ნადარაიამ, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, 1997 წლის აგვისტოში შეცვალა სმკ-ს კანდიდატმა, ყოფილმა კომკავშირულმა ფუნქციონერმა, ივანე ზოდელავამ.

სიძნელეების მიუხედავად, პრეზიდენტის რწმუნებულთა ინსტიტუტი თანდათან მტკიცედ იკიდებს ფეხს საქართველოს 9 რეგიონში (კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-თიანეთი, მესხეთ-ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია), სადაც აღნიშნული სტრუქტურები არსებობს. 1996 წლის 16 იანვარს მიღებული სამხარეო რწმუნებულთა საბიუჯეტო სისტემები და წესები, კერძოდ რეგიონალურ ფონდთა დაარსება.

ცალკე საკითხს წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხი. რეალურად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოში არ არსებობენ. 1991 წელს არჩეულ საკრებულოებს უფლებამოსილების ვადა 1994 წლის მარტში დაუმთავრდათ. ამის შემდეგ არც ახალი არჩევნები ჩატარებულა და არც ძველს გაგრძელებია უფლებამოსილება. უფრო მეტიც, ადგილობრივი მმართველობის არც ერთ დებულებაში არჩევით ორგანოებზე ლაპარაკიც არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლის შემოდგომისათვის დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება. მიმნდინარეობს მნიშვნელოვანი მუშაობა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად,უმთავრეს პრობლემას მაინც წარმოადგენს თვითმმართველობის ინსტიტუციონალური დამკვიდრების პრობლემა.

ე. ავტონომიები

მრავალი პრობლემის მიუხედავად, როგორც სახელმწიფო სისტემის მშენებლობის პროცესში, ისე საერთოდ, ქვეყნის ცხოვრებაში უმთავრეს პრობლემას ქმნის ურთიერთობა ცენტრსა და ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის.

1978 წლის კონსტიტუციით, რომლის საფუძველზეც იქნა მიღებული 1990 წლის 14 ნოემბრის კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ, ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში, ხოლო მათი მმართველობა განისაზღვრებოდა ადგილობრივი კონსტიტუციებით.

როგორც ცნობილია, ეთნიკური ავტონომიები - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი თავიდანვე მკვეთრად დაუპირისპირდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას.

ამავე დროს, არ შეიძლება არ იქნეს დანახული ის დაპირისპირება, რომელიც არსებობს ადგილობრივ და ცენტრალურ ნომენკლატურებს შორის. ამის ნათელი მაგალითია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც საქართველოსთან ეთნიკური დაპირისპირების ფაქტორი გამორიცხულია.

მიუხედავად აღნიშნული დაპირისპირებისა, საერთო ინტერესთა არსებობის შემთხვევაში ორივე მხარე შეთანხმებულად მოქმედებს. 1996 წლის 22 სექტემბრის ადგილობრივი უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ასლან აბაშიძის პარტია "აღორძინება" და საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ და 80 სადეპუტატო მანდატის 82% (76 ადგილი) მიიღეს. არჩევნებში ადგილი ჰქონდა დემოკრატიული საარჩევნო ნორმების აშკარა დარღვევას. ოფიციალური მონაცემების მიხედვით არჩევნებში მონაწილეობდა საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა 94%, რაც აშკარა პარალელს პოულობს საბჭოური პერიოდის არჩევნებთან.

ბოლო ხანებში შეინიშნება სიტუაციის გამძაფრება, ერთის მხრივ აჭარის ავტონომიასა და ცენტრალურ ხელისუფლებას, ხოლო მეორეს მხრივ თვით ავტონომიის შიგნით სხვადასხვა მიმართულების ძალათა

შორის. ამ უკანასკნელის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ 1997 წლის 6 აგვისტოს პარლამენტის აჭარის რეგიონალური ფრაქციია "აღორძინებიდან" 7 პარლამენტის წევრის გამოსვლა.

X X X

ბევრად უფრო რთულია საქართველოს მთავრობის ურთიერთობა სხვა ყოფილ საბჭოურ ავტონომიებთან. აქ არსებული დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაიზარდა, რამაც საქართველოსგან აღნიშნული ტერიტორიების ფაქტობრივი ჩამოცილება გამოიწვია.

პირველი კონფლიქტი დაიწყო 1990 წლის დეკემბერში, როცა ოს სეპარატისთა მოქმედების პასუხად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება გამოაცხადა.

ოსურმა მხარემ მოახერხა რეალური კონტროლი დაეწესებინა ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე.

ასე რომ ცხინვალის ხელისუფლების 1993 წლის აგვისტოს განცხადება იმის თაობაზე, რომ მთავრობა, 22 სამინისტრო და 4 კომიტეტი აკონტროლებს სიტუაციას სამხრეთ ოსეთში, არ არის რეალობას მოკლებული.

საქართველოსთან ურთიერთობის ასპექტში ოსური მხარე განიხილავს სამ შესაძლო ვარიანტს:

1= სამხრეთ ოსეთს საქართველოს შემადგენლობაში ექნება ისეთივე ფართო ავტონომია, როგორც, მაგალითად თათარსტანს რუსეთის ფედერაციაში;

2= სამხრეთ ოსეთი აფხაზეთთან და აჭარასთან ერთად საქართველოს შემადგენლობაში შევა კონფედერაციულ საწყისებზე;

3= აღნიშნულ ტერიტორიაზე დამყარდება ქართულ-რუსული კონდომანიუმი.

ამავე დროს ცხინვალში არც საქართველოსგან სრული გამოყოფის მომხრეების სიმცირე შეინიშნება. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სამხრეთ ოსეთის ლიდერის ლუდვიგ ჩიბიროვის 1995 წლის 10 აგვისტოს განცხადება, რომ ორი ოსეთის გაერთიანება გარდაუვალია.

1996 წლის ივნისში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად გამოჩნდა, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 52% მხარს უჭერს ორი ოსეთის გაერთიანებას, 31% - სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და მხოლოდ 3.5% - საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას.

1996 წლის 10 სექტემბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე საქართველოს მთავრობის რეაქცია უარყოფითი იყო, საქართველოს პარლამენტმა არჩევნები უკანონოდ გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის მოქმედებებს თბილისი უფრო ლოიალურად უყურებს, ვიდრე აფხაზეთისას, ჯერ ერთი, იგი გაურბის ორ ფრონტზე ბრძოლას, ხოლო მეორეს მხრივ, აფხაზეთიდან ლტოლვილთა პრობლემა, ამ უკანასკნელთა მრავალრიცხოვნების გამო, უფრო მწვავედ დგას, ვიდრე შედარებით მცირერიცხოვანი ე.წ. "სამაჩაბლოელი" ლტოლვილების პრობლემა. აქვე უნდა ითქვას, რომ ლოდინის ტაქტიკა თვით საქართველოში ოპოზიციის გაღიზიანებას იწვევს.

უკანასკნელ ხანს აღინიშნება ერთის მხრივ, ეკონომიური კონტაქტების გაძლიერება ქართულ და ოსურ მხარეებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ, ულტრანაციონალისტი ოსი რადიკალების (ალან ჩოჩიევი, ოლეგ თეზიევი) ზომიერი პოლიტიკოსებით (ლუდვიგ ჩიბიროვი) შეცვლის პროცესი. ამავე დროს ლტოლვილთა საკითხის მოგვარებაში არავითარი პერსპექტივა არ ჩანს.

X X X

აფხაზეთის საკითხი, როგორც ცნობილია, საქართველოსათვის უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს.

აფხაზეთს, იგივე სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით, ავტონომიის უფლება ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით ჰქონდა მინიჭებული.

1991 წლის სექტემბერში ჩატარებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგად 65 ადგილიდან 28 აფხაზებმა მიიღეს (43% მოსახლეობაში მათ წილთან - 17% შეფარდებით), 26 ქართველებმა (შესაბამისად 40% და 46%), 11 სხვა ეროვნებების წარმომადგენლებმა (17% - 37%). ამავე ხნიდან იწყება თბილისთან ურთიერთობის გამწვავება, რამაც კანონთა ომის სახე მიიღო.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის პასუხად ხმათა უბრალო უმრავლესობით გამოაცხადა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენა და აფხაზეთის ფაქტიური გამოყოფა საქართველოსაგან. საქართველოს სამხედრო საბჭომ, ისევე როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ (31 დეპუტატი), არ ცნო ეს აქტი.

1994 წლის 10 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო (მ.შ. ქართული ფრაქციაც), მაგრამ 1995 წლის 24 თებერვალს კვლავ აღადგინა იგი. ამავე წლის 14 ივნისს აფხაზეთიდან არჩეული პარლამენტარები თბილისში მოქმედ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში კოოპტაციის წესით შეიყვანეს.

ამრიგად ჩამოყალიბდა აფხაზეთის ორი მთავრობა, რომელთაგან აფხაზური სოხუმში ფუნქციონირებს და რეალურად აკონტროლებს აფხაზეთის ტერიტორიას, ხოლო ქართული თბილისშია განთავსებული და ფაქტიურად ლტოლვილთა სიმბოლურ ხელისუფლებას წარმოადგენს.

1995 წლის 22 აგვისტოს სოხუმის პარლამენტმა სპეციალური რეზოლუციით დაადასტურა აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობა, ხოლო 25 აგვისტოს მოსკოვის აფხაზურ-ქართული მოლაპარაკებისას აფხაზურმა მხარემ უარყო საქართველოს ფედერაციული მოწყობის იდეა.

1996 წლის 23 ნოემბერს აფხაზეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. აფხაზურმა მხარემ გამოაცხადა, რომ 15 მანდატი აფხაზეთში დარჩენილი ქართველებისათვის იყო განკუთვნილი. აფხაზური მხარის ოფიციალური მონაცემებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 81% (220 ათასიდან 180 ათასმა).

საქართველოს ხელისუფლებამ არჩევნები უკანონოდ გამოაცხადა. სწორედ იმავე დღესვე აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის ჩატარებულ რეფერენდუმში ოფიციალური მონაცემებით 225.000 მონაწილემ დაგმო აფხაზი სეპარატისტების პოლიტიკა და მხოლოდ 88 მონაწილემ დაუჭირა მხარი მას.

სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს ლტოლვილთა საკითხი. 1997 წლის მარტში ადრე შევარდნაძის უსიტყვო მხარდამჭერი ფრაქცია "აფხაზეთის" დეპუტატებმა შიმშილობის საპროტესტო აქცია მოაწყვეს, რომელიც შევარდნაძის კურსის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1997 წლის წაფხულში ქართულმა მხარემ, რომელიც სულ უფრო და უფრო ხშირად ადანაშაულებს რუსეთს, და კერძოდ ე.წ. "სამშვიდობო ძალებს", რამდენიმე დიპლომატიური დემარში განახორციელა და ამით შემოიფარგლა. გრძელდება აფხაზური მხარის პროვოკაციული სამხედრო ქმედებები და აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ ქართველ პარტიზანთა ტერორისტული აქტები.

1997 წლის 14-15 აგვისტოს, რუსეთის შუამდგომლობით, თბილისში შედგა საქართველოსა და აფხაზეთის პრეზიდენტების შეხვედრა, რომელსაც არც ახლა მოყოლია რაიმე ხელშესახები რეზულტატი.

საქართველოს ოპოზიციური ძალების ნაწილმა აფხაზეთის ბოსნიური მოდელის მიხედვით გაყოფა მიიჩნია ერთადერთ შესაძლო გამოსავლად.

დღევანდელ ეტაპზე აფხაზურ-ქართული მოლაპარაკებებიც ჩიხშია შესული და თბილისის პოლიტიკურ წრეებში სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის აფხაზური პრობლემის იარაღის ძალით გადაწყვეტის მოთხოვნა.

საზოგადოება და საკანონმდებლო საქმიანობა

საზოგადოებრივი განვითარების პროცესი ზემოაღწერილი მოვლენების ფონზე მიმდინარეობს. ახლად თავისუფლებემოპოვებული ქვეყნისათვის, რომელიც ფაქტიურად თავიდან ქმნის სახელმწიფო სისტემას, საზოგადოების კეთილგანწყობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ლოიალური დამოკიდებულება,გადამწყვეტია თვით სახელმწიფოს არსებობისათვის.

როგორი მდგომარეობაა საქართველოში ამ მხრივ?

პოსტსაბჭოური აზროვნების წესისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ერთი გარემოება - მოსახლეობის უნდობლობა და საუკეთესო შემთხვევაში ინდეფერენტიზმი კანონებისადმი. ეს ბუნებრივიცაა, საბჭოურ სისტემაში სახელმწიფო და კანონები აპრიორი უარყოფით განცდებს ბადებდა. კანონი აღითქმეოდა არა როგორც ცალკეული პიროვნებისა თუ სხვადასხვა სოციალური სტრატის დამცველი სისტემა, არამედ როგორც დამსჯელი მექანიზმი.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ახალი სახელმწიფოების წარმოშობის პროცესმა, მართალია დისიდენტური აზროვნების წესშიც შეიტანა გარკვეული კორექტივები, მაგრამ დაპირისპირება კანონსა და რეალობას შორის მაინც დარჩა.

განსხვავებამ საკანონმდებლო მოღვაწეობასა და რეალურ პოლიტიკას შორის ინტელიგენციის იმედგაცრუება გამოიწვია. რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში განვითარებულ პროცესებს.

1992 წლის არჩევნებში ფაქტიურად მოსახლეობის მხოლოდ მესამედი მონაწილეობდა. არაქართული მოსახლეობა (განსაკუთრებით განაპირა რეგიონებში) არ ენდობოდა ქართულ ხელისუფლებას, ხოლო ქართული მოსახლეობის ნაწილი (ე.წ. "ზვიადისტები") არ ცნობდნენ მის ლეგიტიმურობას.

1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მრავალპარტიული ოპოზიცია პარლამენტს გარეთ დარჩა. ამას ხელი შეუწყო როგორც მოსახლეობის სულ უფრო მზარდმა ინდეფერენტიზმა, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან განხორციელებული მაქინაციების მთელმა ციკლმა. წინასაარჩევნო კომპანიის მსვლელობისას გამოიკვეთა პარტიათა განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობები, არჩევნების დღეს მთელ რიგ საარჩევნო უბნებში დაფიქსირებულ იქნა კანონისა და დემოკრატიული პრინციპების უხეში დარღვევა, რამაც გავლენა იქონია არჩევნების სამართლიანობაზე. ხშირი იყო საარჩევნო ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამართალდამცავთა ჩარევა, წარმოჩინდა ხმის დამთვლელ კომისიათა არაკომპეტენტურობა და საარჩევნო კანონის დაუხვეწაობა. პროცედურული ხასიათის დარღვევები იყო როგორც ცენტრალური საარჩევნო კომიისის, ისე თვით სახელმწიფო მეთაურის მხრიდანაც, რომელმაც წინასაარჩევნო პერიოდში, კანონის მხრიდან აკრძალვის მიუხედავად, განახორციელა მთელი რიგი საკადრო გადაადგილებები.

ფაქტიურად ერთპარტიულმა პარლამენტმა გააგრძელა წინამორბედთა მიერ დაწყებული საკანონმდებლო მოღვაწეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით უფრო პროდუქტიულია და 1990-1991 წლების უზენაეს საბჭოს მოგვაგონებს, როგორც მიღებულ კანონთა მრავალრიცხოვნებით, ისე მათი არაეფექტურობითაც.

X X X

ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლების მოქმედებაში გამოიკვეთა მეტად საინტერესო ტენდენცია. მხედველობაში მაქვს მთავრობის მცდელობა, გაზარდონ საზოგადოების დაინტერესება პოლიტიკური პროცესებისადმი და აიმაღლონ რეიტინგი.

1992-1995 წლებში ხელისუფლება ძირითადად თავისი პოზიციების განმტკიცებით იყო დაკავებული და ამ მიზნისათვის ყველანაირ საშუალებას ხმარობდა. ბუნებრივია, ეს ვერ შეუწყობდა ხელს მთავრობისადმი საზოგადოების ნდობის გაღრმავებას.

მას შემდეგ, რაც მდგომარეობა მეტნაკლებად სტაბილური გახდა, დღის წესრიგში დადგა მოსახლეობასთან საერთო ენის გამონახვის პრობლემა, რადგან საზოგადოებისათვის სახელმწიფო ინტერესების გაუცხოება ხელისუფლებისათვის თავისთავად პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს.

ბოლო ხანებში გაჩნდა წინა წლებში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ჩადენილი დანაშაულებებისა თუ შეცდომების პოლიტიკური ცხოვრებისაგან უკვე ჩამოშორებული ძალებისადმი გადაბრალების ტენდენცია.

ერთის მხრივ, სოციალურად გაჭირვებული ფენებისა და პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა გულის მოგების მიზნით, ძლიერდება ოდესღაც ყოვლისშემძლე "მხედრიონის" წევრთა წინააღმდეგ მიმართული კამპანია. 1997 აპრილში "მხედრიონი" დადანაშაულებულ იქნა ქვეყანაში მომხდარ რამდენიმე გახმაურებულ მკვლელობაში (საქმე ეხება ედუარდ შევადნაძის "მარჯვენა ხელის" - სოლიკო ხაბეიშვილის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის - გიორგი ჭანტურიასა და პოლიციის გენერლის - გია გულუას ლიკვიდაციის ფაქტებს). დაპატიმრებული "მხედრიონის" ლიდერის, ჯაბა იოსელიანის მიერ აგვისტოს დასაწყისში გამოცხადებულ შიმშილობას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოყოლია.

მეორეს მხრივ, ნომენკლატურული ელიტისა თუ პრივილეგირებული ფენების დამშვიდების მიზნით, კვლავ გრძელდება რეპრესიები გამსახურდიას მომხრეთა წინააღმდეგ. 1997 წლის აპრილში 7 "ზვიადისტს", რომელთაც ბრალი ედებოდათ 1995 წელს შევარდნაძეზე მოწყობილი თავდასხმის ორგანიზებაში, სასამართლომ შვიდიდან ათ წლამდე პატიმრობა მიუსაჯა. აღსანიშნავია, რომ განსასჯელნი ჯერ კიდევ იგორ გიორგაძის მიერ იყვნენ დაპატიმრებულნი. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, თვით ოფიციოზის მიერაც კი აღნიშნული ტერორისტული აქტის მოთავედ ითვლება. ეს გარემოება საზოგადოებაში, და განსაკუთრებით გამსახურდიას მომხრეთა რიგებში, იწვევს ეჭვს, რომ 7 "ზვიადისტის" შემთხვევაში საქმე "განტევების ვაცს" ეხება.

აღნიშნულთან ერთად, მთავრობისა და თვით პრეზიდენტის მხრიდან, სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის მოწოდება ეროვნული ერთობისაკენ.

1997 წლის მაისში იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილ ახალ სისხლის სამართლის კოდექსში გაუქმდა სიკვდილით დასჯა და მის ნაცვლად სასჯელის უმაღლეს ზომად 15-დან 25 წლამდე პატიმრობა გამოცხადდა. 25 ივლისს პრეზიდენტის ბრძანებით შეწყალებულ იქნა 54 სიკვდილმისჯილი, რომელთა უმეტესობასაც გამსახურდას მომხრეები წარმოადგენდნენ.

შეიმჩნევა კიდევ ერთი ტენდენცია. ხელისუფლება ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო ახდენს აპელირებას ეროვნული იდეისადმი, რომელის მიმართ აქცენტირებასაც გამსახურდიას ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ნაკლად და დემოკრატიული ღირებულებების ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევდნენ. მიმდინარეობს ნაციონალურ გრძნობებზე ზემოქმედება, რათა მოხდეს საზოგადოების გააქტიურება და მთავრობისადმი მისი მხარდაჭერის ზრდა.

ამავე მიზნით სახელმწიფო ეკლესიის ავტორიტეტის გამოყენებასაც ცდილობს. 1997 წლის აგვისტოში სახელმწიფო კანცელარიაში შეიქმნა ეროვნული (საერო) სახელმწიფოსა და რელიგიის განვითარების

განყოფილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ასეთი ქმედება ხელისუფლებისადმი ნდობის გაძლიერების ნაცვლად ეკლესიის პოლიტიზაციასა და ამ უკანასკნელის ავტორიტეტის დაცემას უფრო უწყობს ხელს.

სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართების პროცესში განსაკუთრებით ცხარე კამათის საგნად იქცა ეკლესიის როლი. ქვეყანაში ტრადიციულად ყველაზე ძლიერია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, რომლის "განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში" აღიარებულია კონსტიტუციის მე-9 მუხლით. იგივე მუხლი აცხადებს "რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან". მაგრამ თუ კონკრეტულად როგორ უნდა შეეხამოს ერთმანეთს ეს ორი პრინციპი: მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი და აღმსარებლობის თავისუფლება, არც ხელისუფლების და არც საზოგადოების დონეზე გარკვეული არ არის. საზოგადოების ნაწილში ხშირად ისმის მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მოთხოვნები. მისთვის ამგვარი სტატუსის ფორმალური მინიჭების შანსები დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში მეტად მცირეა, მაგრამ ზოგიერთ სფეროში ეკლესიისადმი მიკუთვნებული როლი აქტიურად აახლოებს მას ოფიციალური ეკლესიის მდგომარეობას. კერძოდ, ეკლესიას კანონით აქვს მინიჭებული განათლების სამინისტროს მიერ მისაღები სასწავლო პროგრამების დაწუნების უფლება. სახელმწიფო ფაქტიურად მხარს უჭერს ეკლესიის ბრძოლას ახლადგააქტიურებული რელიგიური სექტების წინაამღდეგ: უშიშროების დეპარტამენტის (1997 წლის 24 ივლისი) ხელმძღვანელი ოფიციალურად აცხადებს სექტების გარცელებას საფრთხედ ერონვული უშიშროების თვალსაზრისით, რომელსაც მისი უწყება უნდა ებრძოლოს. თანხები მართლმადიდებლური ეკლესიის (მაგრამ არა სხვა ეკლესიების) საჭიროებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტშია ჩადებული. ყოველივე ეს იწვევს გარკვეულ უკმაყოფილებას როგორც სხვა კონფესიის მორწუნეების, ისე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. ამავე დროს, სახელმწიფოს ჩარევა ეკლესიის საქმეებში საბლოლოო ჯამში იწვევს ეკლესიის უფრო და უფრო აქტიურ ჩარევას პოლიტიკაში. ეკლესიის პოლიტიზაცია კი, როგორც წესი, საეკლესიო განხეთქილებით სრულდება, რისი "პირველი ყვავილებიც" უკვე სახეზეა.

სხვა რელიგიური ორგანიზაციები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ესაა ტრადიციული ეკლესიები (მაგალითად, კათოლიკური, მუსლიმანური) და ახალი სექტები (ყველაზე გახმაურეული მათ შორის იეღოველებია). ერთგვარი შუალედური სტატუსი აქვთ მათ შორის, ვთქვათ ბაპტისტებს, რომლებიც სოლიდური ტრადიციების მქონე ეკლესიად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ საბჭოური ინერციით ხშირად კვლავ "სექტის" სტატუსით სარგებლობს. ამ რელიგიურ ორგანიზაციათა მდგომარეობა და საქმიანობა ნაკლებად არის შესწავლილი, მაგრამ სარწმუნოდ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა მათ მიზანს არ შეადგენს, ყოველ შემთხვევაში ამის აშკარა ნიშნები არ არის, ხოლო მათი საზოგადოებრივი აქტივობა ერთის მხრივ, ჰუმანიტრული აქციებით, მეორეს მხრივ კი პროზელიტიზმით გამოიხატება (გასაგებია, რომ ეს ორი ასპექტი ერთანეთთან დაკაშირებული შეიძლება იყოს). რაკი სხვა ეკლესიათა პროზელიტიზმი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კვეთრად უარყოფით რეაქციას იწვევს და მისდამი უარყოფით დამოკიდებულებას ხშირად ოფიციალური პირებიც გამოთქვამენ, უმცირესობაში მყოფი რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობა ხელისუფლებასთან უფრო მეტად თავდაცვითი ხასიათისაა. ამ ორგანიზაციების შეხებაში მოსვლა სამოქალაქო საზოგადოებასთან უფრო მეტად ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტებს უკავშირდება (კერძოდ, იეღოველთა დევნის ფაქტებთან დაკავშირებით).

რელიგიისა და სახელმწიფოს, ასევე გაბატონებული და სხვა რელიგიების ურთიერთობის საკითხთა მოსაგვარებლად შესაძლებელა მიღებულ იქნას კანონი რელიგიის შესახებ. წარმოდგენილი კანონპროექტი ხაზს უსვამდა მართლმადიდებლური ეკლესიის გაბატონებულ როლს და კვეცავდა სხვა კონფესიათა უფლებებს, რაც როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოებაში დემოკრატიულად განწყობილი წრეების შეშფოთებას იწვევს. რაკი დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური ატმოსფერო ხელს არ უწყობს რელიგიის საკითხებზე საკმარისად დემოკრატიული კანონის მიღებას, გამოითქმება აზრი (მათ შორის პარლამენტის ხელმძღვანელობის მიერ), რომ ასეთი კანონი საერთოდ არ იქნას მიღებული. ჯერჯერობით საკითხი ღიად რჩება.

საზოგადოების განწყობა

საქართველოში 90-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნებისათვის დამახასიათებელია განწყობათა და ორიენტაციათა რადიკალური ცვლა.

80-იანი წლების ბოლოს დაწყებულმა მასობრივმა გამოსვლებმა მოსახლეობის ფართო ფენებში ეიფორია გამოიწვია, რომელიც პირველი მრავალპარტიული არჩევნებისა და ბლოკ "მრგვალი მაგიდის" ხელისუფლების სათავეში მოსვლის პირველ ხანებშიც გრძელდებოდა. ახალი ხელისუფლების კურსმა, როგორც ცნობილია, მოსახლეობის პრივილეგირებულ ფენებში იმედგაცრუება და რეჟიმისადმი დაპირისპირებას შეუწყო ხელი.

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში მოსახლეობის აქტივობა ბევრად დაბალი იყო, ვიდრე 1990 წლის 28 ოქტომბერს. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. არჩევნებში მონაწილეთა 96% სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ე.შევარდნაძე აირჩია, როგორც უალტერნატივო პიროვნება. იგივე არ ითქმის პარლამენტის არჩევნებზე, სადაც 26 პარტია და ბლოკი მოხვდა. ეს იყო ყველაზე მრავალპარტიული პარლამენტი საქართველოს ისტორიაში. ასეთი შედეგი პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში არა სახვადასხვა ძალთა ბალანსის, არმედ მოსახლეობის დაბნეულობის მაუწყებელი იყო.

ხარიზმის დიდი როლი აშკარად გამოჩნდა 1993 წლის სექტემბერში, როცა სახელმწიფოს მეთაურმა გადადგომა გამოაცხადა. მისი მომხრეების რეაქციამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, მიუხედავად მათი პოლიტიკური კუთვნილებისა.

1993 წელი მნიშვნელოვანი დაძაბულობით ხასიათდება. მძიმე ეკონომიური პირობები და პოლიტიკური კურსის გაურკვევლობა აძლიერებდა ოპოზიციის რიგებს. 1993 წლის 21 თებერვალს შედგა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეორე კონგრესი (პირველი შედგა ჯერ კიდევ 1990 მარტში), რომელმაც გააკრიტიკა სახელმწიფოს მეთაურის პრო-რუსული კურსი. მოსახლეობის განწყობაზე მეტყველებდა თვით თბილისშიც, შევარდნაძის მთავარ დასაყრდენშიც, "ზვიადისტური" გაზეთების პოპულარობა.

ამავე დროს შეინიშნება საზოგადოების ინდეფერენტიზმის ზრდა. თუ სამეგრელოში, ექს-პრეზიდენტ გამსახურდიას მთავარ საყრდენ რეგიონში, 1992 წელს მოსახლეობამ შევარდნაძეს ქვები დაუშინა, ხოლო სამთავრობო ძალები, როგორც ოკუპანტები, ისე მიიღო, 1994 ივნისში დამატებითმა არჩევნებმა ამ რეგიონში თითქმის უექსცესოდ ჩაიარა. მასში მოსახლეობის 60% მიიღო მონაწილეობა და შევარდნაძის ორიენტაციის კანდიდატებს მისცა ხმა. ქაოსით დაღლილი მოსახლეობა ნებისმიერ ძალას დაუჭერდა მხარს, რომელიც მას სიმშვიდის გარანტიას მისცემდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიცვალა მოსახლეობის ინტერესიც. თუ წინა წლებში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად, პირველ ადგილზე იდგა ქვეყანაში სტაბილიზაციის, ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკომანიის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პრობლემები, 1997 წლის 14-15 აპრილს ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ უმთავრეს პრობლემებს ქმნიან: დაბალი ხელფასი და პენსია (86.6%), საარსებო მინიმუმის არარსებობა (66.6%), მეტად ძვირი სამედიცინო მომსახურების დაბალი დონე (25%) და ენერგოსისტემის ცუდი მდგომარეობა (16.6%). სხვა საკითხებს მხოლოდ მოსახლეობის 10%-ზე ნაკლები აქცევს ყურადღებას.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (1997 წლის აგვისტო), მოსახლეობის 57%-ის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე დაბალია. ეს უკანასკნელი 99-112 ლარს შორის მერყეობს მაშინ, როცა საშუალო შემოსავალი ერთ სულზე 89-98 ლარია. სამწუხაროდ, ეკონომიკის ზრდის ტემპიც ვერ გამოირჩევა სტაბილურობით. ამის მაგალითად გამოდგება ის გარემოება, რომ თუ 1996 წლის შუახანებიდან მოყოლებული ეროვნული შემოსავალი მცირედ, მაგრამ სტაბილურად იზრდებოდა,

1997 წლის მაისიდან შეიმჩნევა სტაგნაცია და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის შემცირება დაახ. 12%-ით.

ყოველივე ზემოთქმული გავლენას ახდენდა და ახდენს მოსახლეობის განწყობაზე. 1995 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ედუარდ შევარდნაძის რეიტინგი. კრიმინალური სიტუაციის მნიშნელოვან გაუმჯობესებას მოსახლეობა სახელმწიფო მეთაურის პირად დამსახურებად თვლიდა.

1995 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა შევარდნაძეს დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა. მაგრამ ამავე დროიდან იწყება მისი რეიტინგის ხელახალი დაცემა. საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები, რომლებიც უმთარესად თბილისში ტარდებოდა, გვიჩვენებს მისი პოპულარობის კლებაზე (1993 წლის ბოლო - 75-80%, 1997 წლის ზაფხულში - 30-40%). ამავე დროს კლებულობს მისი პარტიის სმკ-ს რეიტინგიც (1995 წლის შუახანებში - 40%, იმავე წლის ბოლოს - 20%). აღნიშნული გარემოება განპირობებულია ქრონიკული ეკონომიკური კრიზისით (1995 წლის 1 დეკემბრისათვის, გაერთიანებული პროფკავშირების მონაცემებით, ქვეყანაში 1.1 მლნ უმუშევარი იყო) და მოსახლეობის იმედგაცრუებით "შევარდნაძის ფაქტორის" დახმარებით ეკონომიკური სასწაულის მიღწევაში. არანაკლები როლი ენიჭება საქართველოს აფხაზური პოლიტიკის მარცხს და აქედან გამომდინარე, ლტოლვილთა საკითხის გადაუჭრელობას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ასევე დაბალია მოსახლეობის ნდობა სხვა პოლიტიკური ლიდერებისადმიც. სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, საუკეთესო შემთხვევაში მათ მოღვაწეობას დადებითად აფასებს მოსახლეობის 10-15% (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია და პარლამენტის სპიკერი ზურაბ ჟვანია), ხოლო პოლიტიკურ მოღვაწეთა უმეტესობის რეიტინგი 10% არ აღემატება. ამავე დროს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (36-38%, 1997 წლის გაზაფხული) საერთოდ ვერ პასუხობს კითხვაზე, ვის შეიძლება ენდონ.

ასეთ პირობებში საზოგადოება იმედოვნებს, რომ საქმეს ახალგაზრდა ლიდერების გამოჩენა უშველის. 1997 წლის ივლისში, გამოკითხვის შედეგად ამის იმედი ჰქონდა გამოკითხულთა 70%, ხოლო უარყოფითად იყო განწყობილი 23%.

X X X

საინტერესოა მოსახლეობის დღევანდელ ვითარებასთან ადაპტირების საკითხი.

300 რესპონდენტზე განკუთვნილი, საერთაშორისო ორგანიზაციის - "ქალთა ინიციატივა თანასწორობისათვის" მიერ განხორციელებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად დადგინდა საქართველოს მოსახლეობის დღევანდელ ვითარებასთან შეგუების ხარისხი.

დღევანდელ ვითარებასთან მოსახლეობის ადაპტაციის ყველაზე მაღალი ხარისხი თბილისის რეგიონში იქნა მიღებული. შემდეგ მოდის კახეთის რეგიონი. რაც შეეხება სამეგრელოს, აქ ყველაზე რთული ვითარებაა. ეს გარემოება განპირობებული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ აღნიშნული რეგიონი საქართველოში ბოლო წლებში დატრიალებულ მოვლენათა ცენტრში აღმოჩნდა. სამოქალაქო ომის რეზულტატი მოსახლეობის მიერ დამარცხებად იქნა აღქმული.

რაც შეეხება შემოსავლის ტიპების მიხედვით მოსახლეობის რანჟირებას, ადაპტაციის მაღალი უნარით გამოირჩევიან ის ოჯახები, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს კერძო საქმიანობით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს.

შეგუების შედარებით მაღალი ხარისხი ახასიათებთ ახალგაზრდა თაობის (18-დან 35 წლამდე) წარმომადგენლებსაც.

საინტერესოა მოსახლეობაში სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ლიბერალიზმის ხარისხის დადგენა.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტისა და არნოლდ ბერგშტრასერის ინსტიტუტის (ფრაიბურგი, გერმანია) მიერ 1997 წლის ზაფხულში მოეწყო სოციოლოგიური გამოკითხვა მთელი საქართველოს მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ იგი ჩატარდა იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც ამჟამად არ შედიან საქართველოს მთავრობის იურისდიქციაში (იგულისხმება აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი).

წინამდებარე სტატიის ავტორის თხოვნით, გამოკითხვის ანკეტაში შეტანილი იქნა შემდეგი კითხვა:

> არსებობს მმართველობის სხვადასხვა სისტემა. თქვენ რომელს აირჩევდით შემდეგი სამი ვარიანტიდან:
>
> - ხელისუფლებას ხელმძღვანელობს ერთი პირი;
> - ხელისუფლებას ხელმძღვანელობს არჩევითი ორგანო;
> - ძალაუფლება განაწილებულია ორივეს შორის.

გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდა 2.000 რესპოდენტი. პასუხები შემდეგნაირად იქნა განაწილებული:

I ვარიანტი -	28.9%;
II ვარიანტი -	24.9%;
III ვარიანტი -	46.0%;
არ ვიცი -	0.2%.

მეტად საინტერესოა მოცემული პასუხების რანჟირება ეთნიკური კუთვნილების, სოციალური სტრატების, შემოსავლის ოდენობისა და განათლების დონის მიხედვით.

1. საქმიანობის სფეროთა მიხედვით ლიბერალური (კოლექტიური) მმართველობის მომხრეები არიან სახელმწიფო ოფისებისა და ორგანიზაციების თანამშრომლები, სასწავლო დაწესებულებათა პერსონალი, სტუდენტები, ინვალიდები და არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები. ერთპიროვნულ მმართველობას უფრო მეტად უჭერენ მხარს მშენებლობის, ტრანსპორტისა და ჯანდაცვის სფეროებში მომუშავე ადამიანები, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები და პენსიონერები. სავარაუდოა რომ, როგორც წესი, მართვის ფორმების განსაზღვრისას ამა თუ იმ პროფესიის ადამიანები აღნიშნულ კითხვებს ქვეშეცნეულად უკავშირებენ თავიანთი პროფესიის სპეციფიკას.

2. ეთნიკური ნიშნის მიხედვით პასუხები შემდეგნაირად ნაწილდება.

ქართველებში - შესაბამისად -	27.3%, 20.0%, 52.6%;
არაქართულ მოსახლეობაში -	33.0%, 37.7%, 28.4%. მათ შორის:
სომხები -	37.8%, 16.5%, 44.9%;
რუსები -	52.9%, 5.9%, 37.3%;
აზერბაიჯანელები -	23.2%, 57.3%, 19.5%;
ოსები -	26.9%, 48.5%, 23.1%;
აფხაზები -	35.0%, 51.7%, 13.3%;
სხვა -	28.9%, 26.3%, 44.7%.

თუ რატომ ჩანს სომხური და რუსული მოსახლეობა ქართველებთან შედარებით უფრო "ძლიერი ხელის", ხოლო აფხაზური, ოსური და აზერბაიჯანული მოსახლეობა უფრო პლურარისტული მმართველობის მომხრე, ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, აქ გარკვეულ როლს თამაშობს ეთნიკური მენტალობა (მაგალითად აზერბაიჯანელებში და აფხაზებში კლანური აზროვნების რელიქტები). ამავე

დროს ამ მოვლენას მხოლოდ ეთნიკური მენტალობისათვის დაბრალება არ იქნება მართებული. აქ ალბათ გარკვეულ როლს უნდა თამაშობდეს აფხაზეთისა და ოსების უფრო მაღალი პოლიტიკური აქტივობის დონე, საქართველოს დიდ ქალაქებში მოსახლე, პოლიტიკურად უფრო პასიურ რუსულ და სომხურ მოსახლეობასთან შედარებით.

3. საყურადღებოა მოსახლეობის დამოკიდებულების მონაცემთა კორელირება შემოსავლის ოდენობასთან. აქ აშკარად შეიმჩნევა ერთი ტენდენცია - შემოსავლის ზრდასთან ერთად მცირდება ერთპიროვნული მმართველობის მომხრეთა რაოდენობა და მატულობს კოლექტიური პასუხისმგებლობის ორგანოს მომხრეთა რიცხვი.

0-დან 50-მდე ლარის შემოსავალი -	32.7%, 18.6%, 48.7%;
50-200 ლარის შემოსავალი -	28.0%, 23.6%, 50.2%;
200 ლარზე მეტი შემოსავალი -	19.8%, 23.8%, 56.4%.

შუალედური ფენის ნაწილი მოსახლეობის ის კატეგორიაა, რომელიც დასაქმებულია ძალოვან სტრუქტურებში. მათი უმეტესობა ძლიერი სახელმწიფო აპარატისა და ერთპიროვნული მმართველობის მომხრედ გვევლინება.

დაახლოებით ანალოგიურ სურათს იძლევა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩატარებული გამოკითხვის მასალებიც, მაგრამ უფრო კონკრეტულად რაიმეს თქმა ძნელია. ამ რეგიონებში გამოკითხულთა რიცხვი შეადგენდა მხოლოდ 204 პირს, რის გამოც მოცემულ მასალათა ურთიერთკორელირება მეტად გაძნელდა.

4. ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება აღნიშნული პრობლემისადმი დამოკიდებულების გარკვევა რეგიონების მიხედვით. ამ შემთხვევაში შეიმჩნევა საკმაოდ დიდი დიფერერნციაცია, რაც სხვადასხვა, ერთმანეთისაგან ხშირად დიამეტრულად განსხვავებული მიზეზებით უნდა იყოს განპირობებული:

- კოლექტიური ორგანოს უპირატესობის მომხრეთა შედარებით მაღალი პროცენტია თბილისში, სამეგრელოში, გურიაში, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. საფიქრებელია, რომ ამ გარემოებას განაპირობებს შემოსავლის შედარებით მაღალი დონე საერთო-ეროვნულთან შედარებით და უმაღლესი განათლების მქონეთა დიდი ხვედრითი წილი (თბილისი), მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობის მაღალი დონე (გურია), პიროვნული ფაქტორიდან გამომდინარე ერთპიროვნული მმართველობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ცენტრისადმი უფრო ოპოზიციურად განწყობილ რეგიონებში (სამეგრელო), ეთნიკური და პოლიტიკური ფაქტორები (აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთი);

- ერთი პირის მმართველობას მხარს უჭერს იმერეთის, რაჭისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი. თუ პირველ ორ რეგიონში ეს გარემოება შემოსავლის დაბალი დონითა და მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვით შეიძლება აიხსნას, მესხეთის შემთხვევაში მას უფრო ეთნიკური ფაქტორი (ამ შემთხვევაში - სომხური მოსახლეობის დიდი ხვედრითი წილი) უნდა განაპირობებედეს;

- კოლექტიური და ერთპიროვნული მმართველობის ფორმების ურთიერთდაბალანსების მომხრეები ჭარბობენ აჭარაში, შიდა და ქვემო ქართლში, რის მიზეზადაც შემოსავლის შედარებით მაღალი დონე (შიდა და ქვემო ქართლი), რელიგიური ფაქტორის გავლენა (ისლამი - აჭარა და ქვემო ქართლი) და ეთნიკური მენტალობა (აზერბაიჯანული მოსახლეობის სიჭარბე ქვემო ქართლში) უნდა დასახელდეს.

აღნიშნულ შემთხვევაში საინტერესო სურათს იძლევა კახეთის რეგიონი, სადაც, შედარებითი მონოეთნიკურობისა (აბსოლუტური უმეტესობა - ქართველები) და მეტად მცირე შემოსავლის

მიუხედავად, გამოკითხულთა ყველაზე დიდი პროცენტი კოლექტიური არჩევითი ორგანოსა და ერთი პირს შორის ძალაუფლების გაწონასწორების იდეას უჭერს მხარს.

5. რაც შეეხება მოსახლეობის განათლებას, რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო იზრდება არჩევითი ორგანოს მომხრეთა წილი.

არასრული ან სრული საშუალო განათლება -	34.3%, 22.9%, 42.8%;
არასრულ ან სრული უმაღლესი განათლება -	22.8%, 27.3%, 49.8%.

კოლექტიური ორგანოს მომხრეთა რიცხვი განსაკუთრებით მაღალია სამეცნიერო ხარისხის მფლობელებს შორის - 14.3%, 32.1%, 53.6%.

6. ერთპიროვნული მმართველობის მოწინააღმდეგენი შედარებით მეტია იმ რესპოდენტთა შორის, რომელთათვისაც ინფორმაციის მთავარ წყაროს დამოუკიდებელი მას მედიის საშუალებები (პრესა, რადიო) წარმოადგენენ. სახელმწიფოს ხელში არსებული საინფორმაციო საშუალებების (ძირითადად ტელევიზიის) მომხმარებლებში კი პირიქითი სურათია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტელევიზიას თავის მთავარ საინფორმაციო წყაროდ ასახელებს მოსახლეობის 72.1%.

X X X

ზემოაღნიშნული გამოკითხვის შედეგებში გამოიკვეთა კიდევ სამი ასპექტი, რომელზედაც ღირს ყურადღების შეჩერება. საქმე ეხება მოსახლეობის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი, სახელმწიფო სტრუქტურებისადმი და აზროვნების წესის - იდეოლოგიისადმი.

7. რამდენად ენდობა საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს?

საკუთარი ეროვნების ადამიანებს ენდობა და ამ უკანასკნელებთან თავს უფრო ახლოს გრძნობს გამოკითხულთა 67.7%, ხოლო საქართველოს მოქალაქეებისადმი, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ნდობა აქვს 52.2%-ს. როგორც ჩანს, დღევანდელ ეტაპზე ეთნიკურობის განცდა უფრო ძლიერია, ვიდრე მთელი მოსახლეობის ერთი ქვეყნის მოქალაქეებად იდენტიფიცირების გრძნობა. გამოკოთხულთა 83.8%-მა კითხვაზე, რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის - სიმდიდრე თუ ეროვნება, ეროვნებას მიანიჭა უპირატესობა.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული მომენტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პოლიტიკური სისტემისადმი ადამიანთა დამოკიდებულებას. ისინი, ვინც მოქალაქეებს განასხვავებენ ეთნიკური ნიშნის მიხედვით, უფრო ერთპიროვნულ მმართველობასა და "ძლიერ ხელის" იდეას უჭერენ მხარს, ხოლო ისინი, ვინც არ ასხვავებს ადამიანებს ეთნიკურ ნიადაგზე, უფრო კოლექტიური არჩევითი ორგანოს მომხრენი არიან (შესაბამისად - ერთი პირის მმართველობის მომხრეა 32.1% და 28.6%, ხოლო საკრებულოს თუ საბჭოს უპირატესობას ანიჭებს 20.7% და 25.1%).

ამავე დროს რესპოდენტთა ის ნაწილი, რომელიც თვლის რომ საქართველოს მოსახლეობა ჯერ არ არის მზად დემოკრატიისათვის (გამოკითხულთა 82.0%), ოპონენტთაგან განსხვავებით, ერთპიროვნული მმართველობის სისტემას უფრო ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე არჩევითი ორგანოსა და ერთი ლიდერის შეთანხმებულ მოქმედებას (შესაბამისად - 30.5% და 21.6%, 44.0% და 55.2%).

8. რაც შეეხება დამოკიდებულებას სახელმწიფო სისტემებისადმი, აქ ორი ასპექტია გამოსაყოფი:

ა. როგორი ტიპის სახელმწიფო მოდელი მიიჩნევა შედარებით უკეთესად?

ამ კითხვის მონაცემთა კორელირება თვითმმართველობის პრობლემასთან დაკავშირებით მიღებულ ინფორმაციასთან საშუალებას იძლევა გამოიყოს რესპოდენტთა რამდენიმე ჯგუფი.

- კოლექტიური ორგანოსა და ერთი პირის ერთდროული არსებობის იდეას მხარს უჭერს გამოკითხულთა ის ნაწილი, რომელთა იდეალსაც დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნები (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ნაწილობრივ - გერმანია);

- ერთი (არჩეული ან დანიშნული) პირის მმართველობის მომხრეებს განეკუთვნებიან ძლიერი საპრეზიდენტო სისტემის მქონე დიდი ქვეყნების (აშშ, რუსეთის ფედერაცია) მხარდამჭერნი;

- კოლექტიური არჩევითი ორგანოს მმართველობის მხარდამჭერნი იდეალურ ქვეყნებად ევროპის მცირე ქვეყნებს (შვეცია, ჰოლანდია, შვეიცარია) ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის პირებიც, რომლებმაც იდეალურ ქვეყანად საქართველო დაასახელეს.

მოსახლეობის მცირე ნაწილმა იდეალური ქვეყანა აირჩია საკუთარი ეთნიკურობიდან გამომდინარე. კერძოდ სომხების, აზერბაიჯანელებისა და რუსების მიერ ასეთ ქვეყანად დასახელდა, შესაბამისად - სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი.

ბ. გამოკითხვის შედეგების შესწავლისას დადგინდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ერთპიროვნულ მმართველობის იდეას უჭერენ მხარს, ზოგადეროვნულ დონეზე უფრო მეტად გამოდიან მრავალპარტიულობის წინააღმდეგ და საერთოდ ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს როლს.

9. და ბოლოს, საინტერესოა როგორ აისახება ადამიანთა მსოფლმხედველობა თვითმმართველობისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე.

საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც აღიარებს სოციალისტური სისტემის უპირატესობას საბაზრო ეკონომიკის მოდელთან შედარებით და თვლის, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია, უფრო მეტად უჭერს მხარს ერთი პირის მიერ მართვის იდეას. ამავე დროს, ლიბერალური ეკონომიკისა და ცხოვრების წესის მომხრეთა აბსოლუტური უმეტესობა თვლის, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და არჩევითი ორგანო უნდა აწონასწორებდნენ ერთმანეთს.

X X X

ამრიგად, თუ ვერწმუნებით ზემოხსენებული გამოკითხვის შედეგებს, შესაძლებელი გახდება გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა:

- მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ერთი პირისა და არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოს ერთდროულად არსებობის იდეას;

- ადამიანები პოლიტიკურ სისტემას აფასებენ თავიანთი პროფესიული სიტუაციიდან გამომდინარე;

- სახელმწიფოებრივი მოწყობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებაში შეიმჩნევა განსხვავება ეთნიკური ნიშნის მიხედვით;

- აღნიშნულ კითხვაზე პასუხები განსხვავებულია რეგიონალური ნიშნითაც, რასაც მიზეზთა მთელი კომპლექსი განაპირობებს;

- რაც უფრო მეტია მოქალაქის განათლების დონე და დიდია შემოსავალი, მით უფრო დემოკრატიულად არიან ისინი განწყობილნი;

- ის პირები, რომელთა ინფორმირების ძირითად წყაროს სახელმწიფოს ხელში არსებული საინფორმაციო საშუალებები წარმოადგენენ, უფრო კონსერვატორულად აზროვნებენ, ვიდრე თავისუფალი (როგორც წესი,ოპოზიციური) ინფორმაციის მომხმარებლები;

- მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურ განსხვავებებს საერთო მოქალაქეობრივ გრძნობებზე მაღლა აყენებს;

- სოციალისტური სისტემის და ყოველდღიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის გაზრდის მომხრენი უფრო კონსერვატორულად აზროვნებენ, ვიდრე საბაზრო ეკონომიკისა და ლიბერალური სახელმწიფო სისტემის იდეის მხარდამჭერები.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობაში დემოკრატიზმის - საფუძვლები მაინც არსებობს, რასაც ვერ ვიტყვით ლიბერალურ ღირებულებებზე. ამრიგად ქვეყანაში არსებობს იმის საფრთხე, რომ დემოკრატიულობა ოლქოკრატიაში ან ნაციონალ-სოციალიზმში გადაიზარდოს.

საზოგადოება და მართვა

ახლა ვნახოთ, რა კეთდება და რა ძალებით იმართება სახელმწიფო სისტემა. ამ შემთხვევაში გავიხილავთ პოლიტიკური პარტიების მდგომარეობასა და უშუალოდ სახელმწიფო აპარატში არსებულ განწყობას.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია პოლიტიკურ პარტიათა როლის მკვეთრი შემცირება. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული პოლიტიკური სპექტრი მეტისმეტი სიჭრელით გამოირჩევა - 1990 წლის არჩევნებში მონაწილეობდა 14 ბლოკი (34 ორგანიზაცია), 1992 წელს - 47 ორგანიზაცია, 1995 - 54 ორგანიზაცია. პარტიებისათვის დამახასიათებელია სწრაფვა სექტანტობისა და დაშლისაკენ, გარკვეული სოციალური ბაზის უქონლობა, გაერთიანება ქარიზმათა გარშემო, მყიფე სტრუქტურები. ფაქტიურად ყველა პოლიტიკური პარტიის (მ.შ. თვით კომუნისტური პარტიების) იდეოლოგიას ნაციონალიზმი წარმოადგენს. ქართული პარტიები ხშირად ატარებენ XIX-XX ს.ს. მინაზე არსებული ქართული პოლიტიკური გაერთიანებებისა თუ თანამედროვე დასავლური ორგანიზაციების სახელებს, თუმცა ფაქტიურად არ ჰგვანან არც ერთს და არც მეორეს.

ყოველივე ეს მეტად უიმედოს ხდის დღევანდელი პოლიტიკური პარტიების პერსპექტივებს. ფაქტიურად ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც შეინანჩუნა თავის სახე, სმკ წარმოადგენს. ეს ორგანიზაცია, ფაქტიურად შეერწყა სახელმწიფო სტრუქტურებს და შეიძლება ითქვას, საქართველოში პოსტსაბჭოური კომპარტიის როლს თამაშობს.

1994 წლის გაზაფხულზე სმკ-ში უკვე 35 ათასი წევრი ირიცხებოდა. ამავე დროს თვით პარტიის შიგნით ძლიერდება პრორუსულად განწყობილი ძველი კომუნისტური ნომენკლატურის პოზიციები, თუმცა პარტიის მმართველობაში საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენს პროდასავლურად განწყობილი დაჯგუფება, რომელიც საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების მომხრედ აცხადებს თავს.

ზემოთქმული ან ნიშნავს, რომ სმკ-ს არ ემუქრება შინააშლილობა. ერთიანი იდეოლოგიური ბაზისის უქონლობა, განსხვავებული მენტალობის კონგლომერატი, ცალკეულ შიდაპარტიულ კლანთა ბრძოლა ძალაუფლებისათვის მმართველი პარტიისათვის რეალურ საფრთხეს შეიცავს.

X X X

სიტუაცია სახელმწიფო აპარატში საკმაო გაურკვევლობით ხასიათდება. სახელმწიფო მოხელეთა დიდ ნაწილს (განსაკურებით რეგიონებში) აშინებთ ხვალინდელი დღე. გაურკვეველია თუ როგორი იქნება სახელმწიფო მმართველობის სისტემა.

და ბოლოს, სახელმწიფო აპარატის მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარეა დამოკიდებულება კომერციასთან, რაც ძალზე ხშირად კანონის დარღვევები იწვევს. იგივე პარლამენტში პროცედურული

კომიტეტის თავმჯდომარის როსტომ დოლიძის 1996 წლის 12 ივნისის განცხადებით პარლამენტის 12 წევრი მონაწილეობს კომერციულ სააგენტოთა მუშაობაში, რაც კანონითაა აკრძალული.

1996 წლის 19 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა მოთხოვა პროკურატურას 1991-1995 მთავრობის მოქმედების შემოწმება. 24 ივნისს მთავრობის დახურულ სხდომაზე გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ 1991-1995 წლებში მავრობის მხრიდან 1.400 დარღვევაა დაფიქსირებული. 1997 წლის დასაწყისიდან კორუფციასთან ბრძოლას პრიორიტეტული მიმართულება მიანიჭა. დამოუკიდებელი პრესის აზრით, ეს პროცესი კოპანიურ ხასიათს მიიღებს და ძირითადად ძველ ფუნქციონერთა წინააღმდეგ ანგარიშის გასწორებისაკენ იქნება მიმართული, რისი მაგალითებიც უკვე ნათლად იკვეთება.

პერსპექტივები

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას:

1= "ზვიადისტური" ხანის აქტივობის შემდეგ, 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის ფართო ფენების აპოლიტიკურობა, რაც გამოწვეულია მოსახლეობაში რწმენის დაკარგვით, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალა შეძლებს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას;

2= დიდი ეკონომიკური კრიზისი, რომელიც მეტად ნელა გადის, არ იძლევა მნიშვნელოვანი (საერთო-ეროვნული და ფინანსტევადი) პროგრამების განხორციელების საშუალებას (1995 წელს ბიუჯეტი შეადგენდა 190 მლნ. აშშ დოლარს, 1996 წელს - 555 მლნ. ლარს, ხოლო 1997 წელს - 840 მლნ. ლარს);

3= სახეზეა სახელმწიფო სტრუქტურათა, განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურათა გაძლიერებისა და რაოდენობრივი ზრდის ტენდენცია, რაც ბუნებრივია, კვლავ ბიუჯეტს აწვება. ამავე დროს, სახელმწიფო მოხელეთა დაბალი შემოსავალი და გაურკვევლობა ხელსაყრელ საფუძველს უქმნის მათი მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და უპირველეს ყოვლისა, კორუფციას;

4= მიუხედავად საკმაო დროის მანძილისა (1992-1998 წლები), საქართველოს მმართველმა ძალებმა ვერ მოახერხეს არათუ განვითარებული სახელმწიფო სისტემის შექმნა, არამედ გარკვეული საკანონმდებლო ბაზის მომზადება. თუ პარლამენტი და მთავრობა მეტნაკლებად ჩამოყალიბდნენ, იგივე არ შეგვიძლია ვთქვათ სასამართლო სისტემაზე და განსაკუთრებით ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ამ უკანასკნელში თვითმმართველობის ელემენტები საერთოდ არ არსებობს, ხოლო მმართველობა არალეგიტიმურ ხასიათს ატარებს იგივე საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გამო.

სახელმწიფო სისტემის შექმნისა და განვითარების პროცესი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოში, ორი ნიშნით ხასიათდება:

- უპირველეს ყოვლისა აღინიშნება სახელმწიფო სტრუქტურათა სწრაფვა მეტი დამოუკიდებლობისაკენ. მმართველობის ნებისმიერი დონე (პოლიტიკური და ეთნიკური ავტონომიები, რეგიონები, მუნიციპალიტეტები და თემები) სულ უფრო და უფრო მეტ დამოუკიდებლობას მოითხოვს;

- ამავე დროს, თავდაპირველი ეიფორიის განელება მოხდა არამარტო საზოგადოებაში, არამედ ბიუროკრატიაშიც. სწრაფი გარდაქმნების რწმენა ღრმა პესიმიზმმა შეცვალა. გაჩნდა ეჭვი, რომ საბჭოთა პერიოდიდან არსებული სისტემები რეფორმირებას კი არა, გაუქმებას საჭიროებს და მთელი სტრუქტურა თავიდანაა შესაქმნელი.

დასასრულ ორიოდე სიტყვა პერსპექტივებზე:

- შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ხანმოკლე რეფორმების ნაცვლად პროცესი ხანგრძლივად წარიმართება;

- მთავრობის მხრიდან მოსახლეობის ისეთი მასობრივი მხარდაჭერის მოპოვება, როგორიც 1989-1992 წლებში იყო, არარეალურია. მოსახლეობის დიდ ნაწილს (სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით 37%-დან 61%-მდე) აპრიორი არ სჯერა ხელისუფლების და პერსპექტივას ვერ ხედავს;

- ყოველივე ეს მეტად მყიფე ხასიათს ანიჭებს სახელმწიფო სტრუქტურებს და მათ როგორც საგარეო - რუსეთი, ისე საშინაო - კორუფცია, მაფია, ბიუროკრატია, რეტროგრადები (თუმცა ეს უკანასკნელნი სულ უფრო და უფრო ნაკლებად), ასევე პიროვნულ ფაქტორებზე - თუ ვინ იქნება პრეზიდენტის მემკვიდრე - დამოკიდებულად აქცევს.

დასკვნები

თუ გვინდა ვნახოთ, რამდენად ზემოქმედებს აღნიშნული პროცესები საქართველოში ნაციონალიზმის სხვადასხვა სახით გამოვლენაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი:

1. ქართული ეთნიკური მენტალობა, თავისი არსით, ახლოს დგას ხმელთაშუაზღვისპირეთის, ე.წ. "ღირსებისა და სირცხვილის საზოგადოებასთან", რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის ორასწლოვანმა ბატონობამ. სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ ხელი შეუწყო, ერთის მხრივ ეროვნული ინფანტილიზმის, ხოლო მეორეს მხრივ, პარასაზოგადოებების (სახელმწიფო მოხელეთა კრიმინალური კლანების სახით) ჩამოყალიბებას;

2. განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოხდა კლანური მენტალობისა და მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული შეხედულებების ურთიერთშერწყმა. ხშირია დასავლური ღირებულებებისა და პატერნალისტური აზროვნების ურთიერთაღრევა;

3. ქვეყანაში სახეზეა ტრაიბალიზმის რელიქტებიც. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა 1991-1993 წლებში, ჯერ სახელმწიფო გადატრიალებისა, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომის პირობებში. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ მხარი ექსპრეზიდენტ გამსახურდიას დაუჭირა, მაშინ როცა დედაქალაქის მოსახლეობა (და მასთან ერთად ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა) შევარდნაძის მხარეს გამოვიდა;

4. სსრკ-ს დაშლამ და ეკონომიურმა კრიზისმა, რომელმაც მოშალა ძველი იდეოლოგიური და ეკონომიური საყრდენები. ვინაიდან საზოგადოება სუსტად იცნობს დასავლურ ლიბერალურ ღირებულებებს, ხოლო ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფები ჯერ არ შექმნილა, საზოგადოების წამყვან იდეოლოგიურ ფაქტორად ნაციონალიზმი იქცა;

5. მიუხედავად ქვეყნის კრიზისული მდგომარეობისა, რომელსაც ამძაფრებდა ეთნოკონფლიქტები, ეთნიკური მიზეზებით მიგრაციები მართალია არსებობს, მაგრამ საერთო დიდი ემიგრაციის ფონზე უმნიშვნელოა. მიგრაციების ძირითადი მიზეზი ეკონომიკური პრობლემების მოუგვარებლობაა;

6. საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში 1992-1998 წლებში შეიმჩნევა ნაციონალიზმის ფაქტორის უგუვებელყოფა. როგორც წესი, ნებისმიერი მოვლენის უკან ხედავენ მხოლოდ კრიმინალური კლანების ინტერესებს და მეზობელი ქვეყნების (უმთავრესად რუსეთის) ძირგამომთხრელ საქმიანობას. ეროვნული თვითიდენტიფიკაციის როლის შეფასებას მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ იწყებენ;

7. როგორც საქართველოს მმართველ წრეებში, ისე საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში ხშირად არის მცდელობა ქვეყანაში მიმდინარე ნაციონალური პროცესები საერთაშორისო, უნიფიცირებული სქემის მიხედვით წარმოადგინონ. ყურადღება არ ექცევა საქართველოსათვის და საერთოდ კავკასიისათვის დამახასიათებელ სპეციფიურ თვისებებს.

8. ნაციონალური პრობლემა სომხეთისა და აზერბაიჯანში განსხვავდება საქართველოში შექმნილი სიტუაციისაგან. სომხეთის საზოგადოებაზე მოქმედებს აზერბაიჯანთან მიღწეული სამხედრო წარმატების ფაქტორი. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მილიტარიზებულია. რაც შეეხება აზერბაიჯანს, იგი უფრო ახლოს დგას საქართველოსთან. პერმანენტულმა სამხედრო მარცხმა და ეთნიკური კონფლიქტების საფრთხემ, რაც ეროვნული უმცირესობების შედარებით მაღალ პროცენტს უკავშირდება, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში შექმნა პესიმისტური და ნიჰილისტური განწყობა ქვეყნის შემდგომი განვითარების პერსპექტივებისადმი. მოსახლეობა უფრო დაინტერესებულია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით. ინტელექტუალური წრეები სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობას მესამე სექტორში მუშაობას ამჯობინებენ. ამავე დროს აზერბაიჯანი, მესამე სექტორის განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს.

9. რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის (ეთნიკური ქართველების) დამოკიდებულებას სახელმწიფოებრიობასთან და მათ შედარებას თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მენტალობასთან, აქ აშკარად სახეზეა საქართველოს მოსახლეობის უფრო მაღალი პოლიტიკური აქტივობის ხარისხი. აღნიშნული გარემოება განპირობებულია განათლების უფრო მაღალი ხარისხით და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ატიმვობის შედარებით მაღალი დონით. თურქეთისაგან განსხავებით, საქართველოში პოლიტიკურად უფრო აქტიურია სამოქალაქო საზოგადოება და არა სამხედრო კასტა. ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ საქართველოს ქართველები ქართულ სახელმწიფოს უყურებენ, როგორც საკუთარი სახელმწიფოებრიობის ფორმას. რაც შეეხება თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, აქ მოქმედებს ეთნიკური უმცირესობისათვის დამახასიათებელი უნივრესალური ტენდენცია - ეთნიკური უმცირესობა ნაკლებადაა დაინტერესებული სახელმწიფოებრიობის განვითარებით და უფრო თავის ვიწრო ეთნიკურ ინტერესებს ემსახურება. ამ შემთხვევაში შეიძლება პარალელის გავლება საქართველოში მხოვრებ ეროვნულ უმცირესობებში არსებულ განწყობასთან.

10. საეჭვოა უახლეს ხანებში ველოდოთ ნაციონალიზმის გამოვლენათა სიმწვავის შენელებას. შესაძლებელია ეკონომიურმა კრიზისმა ან პერმანენტულმა სამხედრო მარცხებმა შეანელოს ეს პროცესები, მაგრამ ისინი რევანშიზმის სახთი მაინც იჩენენ თავს. ეს უკანასკნელნი ამ მიმართულებით დაგროვილი მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებამდე არ შეწყდებიან.

როგორია გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან?

ასეთ პირობებში სწორედ სახელმწიფომ უნდა იტვირთოს გარკვეული ფუნქციების წილი. ეს ეხება არა მარტო ზოგად პოლიტიკას, საკანონმდებლო ბერკეტებით ეკონომიკის რეგულირებას ან მოსახლეობისათვის სოციალური გარანტიების მიცემას, არამედ ეთნიკური ცნობიერების შემდგომი განვითარების სწორედ წარმართვას, რათა თავიდან იქნას აცილებული რადიკალიზმისა და გარკვეულწილად, სოციალური თუ ეროვნული რევანშიზმის აღმოცენების საფრთხე.

რა თქმა უნდა, არსებული რთული სიტუაციიდან გამოსვლისათვის მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო. პერმანენტულმა საგარეო თუ საშინაო მარცხმა მეტისმეტად შეარყია ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული სახელმწიფოს პოზიციები. უპირველეს ყოვლისა, გაუცხოების ხარისხი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მეტისმეტად გაიზარდა და შეიძლება ითქვას, საბჭოური პერიოდის სიტუაციასაც კი გადააჭარბა. ამიტომ მოსახლეობის ინტერესის გაღვიძება სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ და საკუთარი პასუხისმგებლობის გაძლიერება უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

სახელმწიფო სტრუქტურათა მუშაობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მოსახლეობის ინფორმირებასა და მათი მართვის პროცესში ჩართვას უნდა მიენიჭოს. აუცილებელია საზოგადოების განათლება ფინანსურ საკითხებში, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ გაერკვნენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებში. მხოლოდ ზოგადი დემოკრატიზაცია და სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია საქმეს ვერ უშველის.

X X X

რა უნდა გაკეთდეს ამ მიზნით?

1= უპირველეს ყოვლისა, შეცვლილი უნდა იქნეს სახელმწიფო აპარატის ქცევის კოდექსი. თუ საკანონმდებლო ინიციატივა კანონმდებელ ორგანოთა პრეროგატივას წარმოადგენს, ქცევის კოდექსის ნორმათა შემუშავება სწორედ საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგია;

2= ამრიგად, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებრივი აქტივობის ზრდა. თავისთავად არჩევნებში მონაწილეობა ბევრს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, როგორი საარჩევნო სისტემაა გაბატონებული ქვეყანაში. აუცილებელია სახელმწიფომ მოახერხოს საზოგადოებასთან კონტაქტში შესვლა და მოსახლეობის ფართო ფენებში გამეფებული ინდეფერენტიზმის თუნდაც ნაწილობრივი დაძლევა;

3= ამ შემთხვევაში არჩევნებს უჩნდება კიდევ ერთი, არაპირდაპირი დატვირთვა. ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ინდეფერენტიზმის ფონზე საკანონმდებლო ორგანოთა არჩევნებსა და შემდგომ ამ უკანასკნელთა საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობა საზოგადოების გააქტიურებისა და მის თვალში მთავრობის ლეგიტიმაციის ბოლო იმედია.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეტისმეტი ინდეფერენტულობა ეროვნულ და სოციალურ საკითხებში საფრთხეს შეიცავს იმდენად, რამდენადაც საზოგადოებას, ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, უბიძგებს, თვითონ, ხშირ შემთხვევაში არაკანონიერი ქმედებების გზით, ეძიოს გამოსავალი.

თუ მოვისურვებთ ზოგადად გამოვხატოთ საკითხის არსი, შეიძლება შემდეგი სახის ფორმულირება მოავხდინოთ:

სახელმწიფო უნდა იყოს ზომიერად ნაციონალური და სოციალური, რათა არ დაუშვას ნაციონალ-სოციალისტური განწყობის გაჩენა საზოგადოებაში.

მოხსენებები და სტატიები
რომლებიც მომზადდა პროექტზე მუშაობის პროცესში

1. ეროვნული უფლების გენეზისის პრობლემა

1998 წლის აპრილში
ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში
წაკითხული მოხსენება

XIX ს. ნაციონალიზმის გაძლიერებამ დღის წესრიგში დააყენა აღნიშნული მოვლენისათვის თეორიული საფუძვლის ძიება. ყოველივე ამის წინამორბედს წარმოადგენდა XVIII-XIX ს.ს. გერმანული ფილოსოფია და ფრანგული განმანათლებლობა, კერძოდ კანტისა და მონტესკიეს ნაშრომებმა.

ამ მიმართულებით გადადგმულ შემდგომ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა გერმანელი იურისტისა და სამართალმცოდნის რუდოლფ ფონ იერინგის მიერ ვენის უნივერსიტეტში 1872 წელს წაკითხული ლექციათა კურსი "ბრძოლა უფლებისათვის", რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა XIX-XX ს.ს. სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებაზე.

იერინგი თავიდანვე აღნიშნავდა, რომ ნაშრომს ჰქონდა არა იმდენად თეორიული, რამდენადაც პრაქტიკული მნიშვნელობა. თვით ის ფაქტი, რომ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში გამოვიდა 30-მდე თარგმანი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც), უკვე თავისთავად მეტყველებს მის მნიშვნელობაზე.

საქართველოში ნაშრომის პუბლიკაცია მოხდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში. იგი გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო იასონ ბაქრაძემ.

X X X

მონოგრაფიის შესავალშივე რუდოლფ ფონ იერინგი აყენებს ნაშრომის ძირითად დებულებას იმის შესახებ, რომ ვინც არ ცდილობს დაიცვას თავისი უფლება, წარმოადგენს ფილისტერის უფლების განსახიერებას.

ამ მოსაზრებას კარნად შეესაბამება კანტის სიტყვები, რომ "ვინც თავს მატლად ხდის, მას საყვედურის ნება არა აქვს, თუ ვინიცობაა ფეხით სრესა დაუწყეს." ანუ მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა ადამიანის მოვალეობის შელახვა საკუთარი თავმს წინაშე. ადამიანმა დაუსჯელად არავის არ უნდა მისცეს უფლების გათელვის უფლება.

ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს რომაული სამართლის სკოლის კრიტიკას (სავინისა და პუხტას თეორიები), რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

იერინგი ცდილობს ნათელი მაგალითებით გაამაგროს თავისი თვალსაზრისი. ამ მიზნით იგი ეყრდნობა კლასიკურ ლიტერატურას და იყენებს შექსპირისა თუ კლაისტის თხზულებებს.

შთამბეჭდავია მაგალითი "ვენეციელი ვაჭრიდან": შევლოხასა და ანტონიოს ქიშპი და "ბრძენი დანიელის" მეცადინეობა "უსისხლოდ გირვანქა ხორცის" ამოჭრის თაობაზე იწვევს კრიტიკას იერინგის მხრიდან. ამასთან ერთად გაკრიტიკებულია ებრაელის იძულებითი გაქრისტიანების მცდელობა, რაც სინდისის თავისუფლების წინააღმდეგია.

X X X

შესავლის შემდეგ "ბრძოლა უფლებისათვის" უშუალოდ გადადის უფლების გენეზისისა და უფლების კაზუსის საკითხის გარკვევაზე.

ნებიმიერი უფლების მიზანია მშვიდობა. ამავე დროს ყველა უფლება ბრძოლითაა მოპოვებული.

საზოგადოების უფლება ყალიბდება ცალკეული უფლებების ბრძოლით.
ცივილიზაციის ისტორია ბრძოლისა და მშვიდობის მონაცვლეობა და ამ მდგომარეობისადმი შეგუებაა.

უფლებას, როგორც ასეთს, გააჩნია ორი აზრი: ობიექტური, რომელიც განვითარების კანონებით, სახელმწიფოთა მიერ არის დაფუძვნებული და სუბიექტური, როცა ცალკეული სუბიექტები მოიხმარენ ამ უფლებას.

ორივე შემთხვევაში ეს პროცესი წინააღმდეგობების დაძლევით მიიღწევა. სახელმწიფოს ბრძოლა უკანონობასთან არის ამ პროცესის გამოვლინება.

აქვე ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ ჰეგელის "გონის ფილოსოფიის" საგარეო სამართლის კაზუსი, რომლის თანახმადაც ომი საფრთხეში აგდებს სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას, მაგრამ ამავე დროს აიძულებს სახელმწიფოებს ცნონ ერთმანეთი.

რაც შეეხება უფლების განვითარების რომანისტულ თეორიებს (სავინი და პუხტა), მათი აზრი უფლების ბუნებრივი, უმტკივნეულო განვითარების შესახებ მცდარად უნდა ჩაითვალოს. უფლება ენის მსგავსად უმტკივნეულოდ არ ვითარდება.

ნებისმიერი ცვლილება, მიმართული რომელიმე პირისა თუ სოციალური ორგანიზაციის უფლებათა ზრდისაკენ, იწვევს სხვათა უფლებების შემცირებას, რაც ბუნებრივია, უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის.

აქაც, "როგორც ყოველ ბრძოლაში, იმდენად საბუთებისსიმტკიცეს არა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მოპირდაპირე ძალთა რაოდენობას."

ყოველთვის, როცა არსებულ უფლებას ზურგს უმაგრებს ინტერესი, ახალი უფლება იძულებულია ბრძოლით გაიკვლიოს გზა.

უფლება არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ მუდმივი, განახლებადი პროცესი. მისი განვითარება დიალექტიკის კანონზომიერებებს ემორჩილება.

სავინის შეხედულება უფლების უმტკივნეულო განვითარების შესახებ პრაქტიკაში ფატალიზტური განწყობისა და სტაგნაციის მიზეზი ხდება.

პუხტას შეხედულება კი, რომლის თანახმადაც ადათი მხოლოდ საშუალებაა უფლებრივი რწმენის შესაგნებად, გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ რწმენა მოქმედებით იქმნება.

სინამდვილეში, ისტორიული, რომანტიული სკოლისგან განსხვავებით, იერინგი ავითარებს აზრს, რომ პირველყოფილ ხანაში უფლება უფრო ძნელად იკვლევდა გზას, ვიდრე დღეს.

სწორედ ბრძოლა და მოპოვების სიძნელე ხდის უფლებას ეგოდენ მიმზიდველად.

"ბრძოლა, რომელიც საჭიროა უფლების მოსაპოვებლად, რისხვა კი არ არის, მადლია უფლისა".

X X X

რაც შეეხება სუბიექტურ (კონკრეტულ) მაგალითებს:

ფაქტიურად ბრძოლა უფლებისათვის ერთთა მიერ ძველი უფლების დარღვევის, მეორეთა მიერ კი მისი დაცვის პროცესს წარმოადგენს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად თმობენ უფლებას მშვიდობის გულისათვის, პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე.
მაგრამ ცალკეული პიროვნება და საზოგადოება ერთი საზომით ვერ იმოქმედებენ, მაგრამ აქ საქმე არის არა დავის საგანში, არამედ პიროვნების რწმენის განმტკიცებაში. ამრიგად სასწორზე იდება თვით პიროვნების, როგორც ასეთის, არსებობა.

უფლებისათვის ბრძოლა არის ადამიანის მოვალეობა საკუთარი თავის წინაშე.

ადამიანი და საზოგადოება იცავენ არა მარტო ფიზიკურ არსებობას, არამედ ზნეობრივი არსებობის პირობებსაც.

უფლება არის სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი არსებობის პირობების ძალდატანებითი უზრუნველყოფა.

საკუთრება პიროვნებისა და საზოგადოების არსებობის ერთ ერთი პირობათაგანი (თუ არსებობს ალტერნატივა - ფული ან სიცოცხლე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უმთავრესი ღირებულების, სიცოცხლის დაცვას).

ამავე დროს არაა აუცილებელი, რომ ერთერთი ან ორივე მხარე უსამართლო იყოს. შესაძლოა ორივე მხარე სამართლიანია, მაგრამ ეს უფრო ამწვავებს ბრძოლას. ზნეობრივი ტკივილი ფიზიკურზე არანაკლებ მძიმეა და ეს შეეხება როგორც პიროვნებას, ისე, და განსაკუთრებით, საზოგადოებას.

აქვე უნდა განვასხვაოთ უფლების სხვადასხვაგვარი შეგნება მაგალითად, ოფიცერსა, ვაჭარსა და გლეხში. ოფიცრისათვის უფლების შელახვა ღირსების შელახვაში მდგომარეობს; ვაჭრისათვის მთავრია მიცემული პირობის (სიტყვის) დაცვა; გლეხისათვის შეურაცყოფა მიწაზე საკურების შელახვაშია.

იგივე ითქმის სახელმწიფოზეც. მათი მიზნები ხშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, თეოკრატიული სახელმწიფო მკაცრად სჯის ღვთის გმობას (მოსეს სამართალი), საერო - საზღვრების დარღვევას (რომაული სამართალი) და ა.შ.

მონტესკიეს განსაზღვრებით, სასჯელი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უქმნის საფრთხეს ესა თუ ის დანაშაული დამსჯელის (მოსამართლის) სასიცოცხლო პირობებს.

თუ ირღვევა საკუთრების უფლება, თუ საზოგადოება ვეღარ ხედავს განსხვავებას კანონიერი და უკანონო გზით მოპოვებულ ქონებას შორის, იქ აუცილებლად გადაგვარდება საკუთრების საღი გრძნობა და, როგორც რეაქციას, საფუძველი ეყრება კომუნისტურ მორალს, რომელიც აპრიორი უარყოფს ყოველგვარ საკუთრებას.

უფლებისათვის ბრძოლა გვხვდება ნებისმიერ საზოგადოებაში, რაც იმის დამადასტურებელია, რომ იგი განათლების შედეგი არ არის. თუმცა განათლება აძლიერებს ამ გრძნობას.

იერინგი ერთმანეთს ადარებს ორი ერის წარმომადგენელს - ინგლისელსა და ავსტრიელს.

ინგლისელი მზადაა დახარჯოს მილიონი, რათა ერთი პენსი დაისაკუთროს, რომლის წართმევასაც მას უპირებდნენ. ავსტრიელი ერიდება გართულებებს და მზადაა შეურიგდეს მცირე ნაწილის დაკარგვას, რათა შეინარჩუნოს ძირითადი.

მონოგრფიის ავტორის სიმპატიები აშკარად ინგლისელის მხარეზეა. მისი საქციელი უპრალო ახირება კი არ არის, პრინციპული საკითხია. სწორედ ასეთი მიდგომა საკითხისადმი ქმნის ინგლისელთა გარშემო დაუთმობლის სახელს და საზოგადოებას აიძულებს პატივისცემით მოეკიდოს მათ ინტერესებს.

აქედან: დაცვა უფლებისა არის მოვალეობა საზოგადოების წინაშე.

უფლების განხორციელება დამოკიდებულია თვითონ ამ უფლების მქონეზე. თუ ინდეფერენტიზმი საყოველთაო გახდა, საზოგადოება იღუპება.

უფლებათა დამცველნი კი ამ შემთხვევაში მოწამებრივ ხვედრს იზიარებენ, ისე მაგალითად, როგორც მიხაელ კოლჰაასი, კლაისტის ამავე სახელწოდების ნაწარმოებში.

მაგრამ დასკვნა მაინც ასეთია - თავისი უფლებისათვის მებრძოლი ყოველი ადამიანი ამავე დროს მებრძოლია საზოგადოებრივი უფლებებისათვისაც.

უფლებისათვის ბრძოლის მოტივაცია, როგორც წესი, სხვადასხვაა (პრაგმატიზმი, თვითდაკმაყოფილება და ა.შ.), მაგრამ ყველა ისინი ხშირად თავისდაუნებურად ებრძვიან ძალადობას.

რომში არსებობდა საჯარო საჩივრების ინსტიტუტი, სადაც იცავდნენ არა მარტო საზოგადო, არამედ პირად უფლებებსაც.

და ეს ხდება ყველგან. გავიხსენოთ შევლოხასა და კოლჰაასის სახეები და კოლჰაასის სიტყვები: "ვინც მე ამ კანონის მფარველობას მართმევს, ის მდევნის უდაბნოში ველურებისაკენ, ის ხელში მაძლევს იმ კეტს, რომელმაც უნდა დამიფაროს მე".

სასამართლო დაწესებულების უვარგისობა ყოველთვის სისტემის საწინააღმდეგოდ შებრუნდება დაჩაგრულთა მხრიდან კონტრქმედებების სახით (ლინჩის სამართალი და ა.შ.).

X X X

ნაშრომის შემდეგი ნაწილი ეძღვნება უფლების განზოგადებას პიროვნებიდან ერამდე.

ერი ცალკეულ ინდივიდთა ერთობლიობაა. ცუდი კანონები მის აპათიურობას იწვევენ, რაც თვის სახელმწიფოს წინააღმდეგ შემობრუნდება ხოლმე.

მთელი რიგი მაგალითების მოყვანის შემდეგ რუდოლფ ფონ იერინგი აკეთებს დასკვნას: "სახელმწიფომ, რომელსაც სურს პატივცემული იყოს შინ და გარეთ, უნდა დაიცვას და განამტკიცოს უწინარეს ყოვლისა ... ეროვნული უფლებრივი გრძნობა".

აქვე უნდა იქნეს დაცული ის პრინციპი, რომლის თანახმადაც ერი ბრძოლას იწყებს მიწის მცირე, ეკონომიურად ხშირად უსარგებლო ნაკვეთისათვის.

ირედენტიზმის, როგორც ასეთის, წარმოშობაც სწორედ ამ მიზეზითაა განპირობებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი სახის დასკვნა:

ერთაშორისი ბრძოლის მიზანს წარმოადგენს სასიცოცხლო საშუალებების ფლობა, ხოლო უფლებისათვის ბრძოლა ამ მფლობელობის პრინციპების დაცვას წარმოადგენს.

2. სოციოლოგიური თეორიების ზოგიერთი ასპექტი და ეთნოგენეზი

1996 წლის დეკემბერში
ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში
წაკითხული მოხსენება.

XX საუკუნემ ნაციონალიზმის პრობლემის შესწავლის აუცილებლობა მოიტანა. თუ ადრე ამ მოვლენას კაპიტალიზმის წარმოშობა-განვითარების თანადროულ მოვლენად მიიჩნევდნენ, დღესდღეობით მიმდინარე მოვლენებმა. ნაციონალური გრძნობების მკვეთრმა გამოვლენებმა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ეს მოსაზრება კითხვის ქვეშ დააყენა.

თვით ამ პრობლემის უმთავრეს მიზეზად ჯერ ექსტრემისტული ცნობიერება მიაჩნდათ, შემდეგ ეკონომიური კრიზისი, ბოლოს კი იმპერიათა რღვევის საერთო კანონზომიერებად მიიჩნიეს.

ზოგადად ნაციონალიზმის, როგორც ასეთის, შესახებ თავიდანვე ორი, ერთმანეთისადმი დიამეტრალურად საპირისპირო აზრი გამოიკვეთა. პირველი, პრიმორდიალისტური (ოსკარ რუნგე და სხვ.) ნაციათა და, აქედან გამომდინარე - ნაციონალიზმის - არსებობას ისტორიის მთელ მანძილზე ვარაუდობდა და ეს უკანასკნელი თითქმის ბიოლოგიურ კატეგორიად მიაჩნდა. მეორე, მოდერნისტული მოსაზრება (მილოსლავ ჰროხი და ა.შ.), ნაციათა გენეზისის ხანად XIX-XX საუკუნეებს მიიჩნევდა.

ორივე ზემოაღნიშნულ მოსაზრებას თავისი უკიდურესობანიც გააჩნდა. ერთის მხრივ, ეს იყო ეროვნულ მოძრაობათა ლიდერების უკიდურესი, ფაქტიურად პრივიტივიზმამდე დასული ნაციონალიზმი, ხოლო მეორეს მხრივ, უკიდურესი ნიჰილიზმი აღნიშნული პრობლემისადმი, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლადაც შეიძლება ელი კედურის თვალსაზრისი მივიჩნიოთ.

ბოლო ხანებში შეიმჩნევა ამ ორი შეხედულების დაახლოების მცდელობა ერთიანი, პოსტმოდერნისტული თვალსაზრისის შემუშავების მიზნით. ამ მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს ერნსტ გელნერის მოღვაწეობა.

ამავე დროს თვალში საცემი ხდება ის გარემოება, რომ არ არსებობს არა თუ ერთიანი მიდგომა, არამედ არ არის შემუშავებული ერთიანი ტერმინოლოგიაც. ხშირ შემთხვევაში ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვა გააჩნია.

ამიტომ, როცა რომელიმე თეორიას განვიხილავთ, თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ ტერმინოლოგიაში.

პოსტმოდერნისტების განსაზღვრით ნაციონალიზმი - ეს არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც კულტურული და სახელმწიფოებრივი საზღვრები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდნენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არსებობს ე.წ. "უმანკო", აბსტრაქტული ნაციონალიზმი, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოებრიობას ყველა ეთნიკური ერთეულისათვის. თანამედროვე ეთნიკური სიჭრელის პირობებში ეს იწვევს "ზედმეტი" მოსახლეობისაგან თავდახსნის სურვილს, რაც, როგორც წესი, კონფრონტაციის მიზეზი ხდება ხოლმე.

ამავე დროს პოსტმოდერნისტული თვალსაზრისი არ განიხილავს ნაციონალიზმსა და სახელმწიფოებრიობას ერთმანეთთან ფატალურად დაკავშირების კონტექსტში.

სახელმწიფოების წარმოქმნა ფაქტიურად აგრარული ხანიდან იწყება, მაგრამ მისი არსებობა ნებისმიერი საზოგადოებისათვის არ არის აუცილებელი. ინდუსტრიულ ხანაში მდგომარეობა იცვლება - აქ სახელმწიფოებრიობა უკვე აუცილებელია. აქვე გვსურს გავიხსენოთ ჰეგელის თეზისი იმის თაობაზე, რომ ნაციათა ისტორია სახელმწიფოთა გაფორმებით იწყება, ხოლო ადრეული ეტაპი წინაისტორიად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ერთა წარმოშობის ვადები სხვადასხვა

ხდება. ამას არც პოსტმოდერნისტული თეორიები არ უარყოფენ. ფაქტიურად აქ კვლავ სემანტიკის პრობლემა იჩენს თავს.

შემდეგი საკითხი, ესაა ეროვნული კუთვნილების განსაზღვრის პრობლემა. აქ თავს იჩენს ორი ფაქტორი: პირველი - ობიექტური, როცა ადამიანები ეკუთვნიან ერთიან კულტურას და მეორე - სუბიექტური, როცა ადამიანები ცნობენ ერთმანეთს ერთი კულტურის წევრებად.

იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ ამ საკითხში, საჭიროა მოკლე ისტორიული ექსკურსი.

აგრარულ ხანაში მეტად თვალშისაცემი იყო განსხვავება ელიტასა და მასას შორის. ელიტის სტრუქტურა ჰორიზონტალური პრინციპით იყო აგებული (საერო და საკულტო არისტოკრატია, იერარქიულობის მკვეთრი დაცვა და ა.შ.). დაბალი ფენები ვერტიკალურ სისტემაში იყვნენ მოქცეულნი, ისინი ერთიანდებოდნენ თემებში, რომლებიც უშუალოდ, ერთმანეთთან კავშირის გარეშე, ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურებს.

ყოველივე ეს აგრარულ საზოგადოებაში ქმნიდა სტაბილურობის ატმოსფეროს. ერთმანეთის გვერდით არსებობდა მრავალი კულტურა. ეს ითქმის როგორც ერთი პოლიტიკური ერთეულის შემადგენლობაში მყოფ სხვადასხვა ეთნოსთა კულტურებზე, ისე ერთი ეთნოსის შიგნით არსებულ რეგიონალურ თუ სოციალურ-სტრატობრივ განსხვავებებზე. ეს კულტურები, როგორც წესი, არ ნთქავენ ერთმანეთს. მართალია ხშირია ურთიერთშევიწროების მაგალითები, მაგრამ რომელიმე კულტურული სუბიექტისათვის მეზობელი კულტურის განადგურება არ წარმოადგენს საციცოცხლო აუცილებლობას.

აგრარულ საზოგადოებაში განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურზე დგანან დამწერლობიანი კულტურები, ისეთები, როგორიცაა საეკლესიო ან არისტოკრატიული კულტურები. ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, არ ავიწროებენ მასის, დაქვემდებარებულ (გლეხთა და ა.შ.) კულტურებს. უფრო მეტიც, ისინი ქმნიან მთელ რიგ ბარიერებს მაღალ და დაბალ სოციალურ სტრატებს შორის.

ზემოაღნიშნულის გამო, არ იქმნება ერთიანი, საერთონაციონალური კულტურა. აქედან გამომდინარე არ ხდება სახელმწიფოსა და კულტურის შერწყმა იმ ფორმით, როგორც ეს ხდება ინდუსტრიულ საზოგადოებაში. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ მმართველობის როგორი ფორმაა ამა თუ იმ პოლიტიკურ წარმონაქმნში: ცენტრალიზებული (დესპოტიები) თუ არაცენტრალიზებული (ფეოდალურად დაქუცმაცებული ერთეულები); დასაჭურისებული (იენიჩართა მმართველობა, საეკლესიო ცელიბატი) თუ აღმმწარმოებელი (პოლიტიკური ძალაუფლების მემკვიდრეობითი გადაცემა); ჩაკეტილი (ინდური კასტები) თუ ღია (ანტიკური ტიპის სახელმწიფოები); გაერთიანებული (თეოკრატიული მმართველობის მქონე ერთეულები, სადაც საკულტო და საერო ძალაუფლება შერწყმულია) თუ სპეციალიზებული ("წითელი" და "შავი" წოდებების გამიჯვნა).

ინდუსტრიულ საზოგადოებაში ხდება ცხოვრების წესის ძირეული ცვლა, თავს იჩენს სრულიად ახალი ძირეული პრინციპები. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებათაგანია მასობრივი მამელუქიზაცია, ანუ იმ მენტალობის დანერგვა, რომელიც გააჩნდათ აზნაურებს *de robe*, მოვალეობის გრძნობა გარკვეული სახის ორგანიზაციის წინაშე (ამ უკანასკნელის უფართოესი გაგებით) ხდება არა რჩეულთა (მამელუქები, სამურაები, ბრამანები და ა.შ.), არამედ მთელი მასის, საზოგადოების კუთვნელება. ამიერიდან მოვალეობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე სხვა სახის (ნათესაური და სხვ.) ურთიერთობანი, ხოლო ამ პრინციპის დარღვევა აპრიორი არაეთიკურ საქციელად ითვლება (იმავ აგრარული მენტალობისაგან განსხვავებით).

ამ ეპოქის მეორე უმთავრესი მოვლენაა საყოველთაო უნიფიკაცია, რაც ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. მაგალითად ადრე ჰარამხანისა და საკულტო ენები ძირეულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ინდუსტრიული ხანის ენა, სემანტიკა, ამა თუ იმ პრობლემისადმი მიდგომა გამოირჩევა პრაგმატიზმითა და ნეიტრალობით. ახალი სამყარო ზნეობრივად ნეიტრალური და მთლიანია. ასე რომ, პოსტმოდერნისტთა შეხედულებით, იუმი, კანტი და ვებერი, როცა განიხილავდნენ ადამიანს,

ცდებოდნენ, როცა მას უნივერსალურ თვისებებს მიაწერდნენ. ფაქტიურად მათ წარმოაჩინეს ახალი ტიპის ადამიანი, ადამიანი, რომელიც განუხრელი ზრდის საზოგადოებას განეკუთვნება.

სწორედ ეს არის ინდუსტრიული ეპოქის უმთავრესი მიღწევა. აგრარული ხანის ტრადიციონალიზმი შეცვლილ იქნა მუდმივი მობილობით და ყოველგვარი ცდა არა მარტო უკან დაბრუნებისა, არამედ ოდნავი შეყოვნებისა, უცილობლად მიგვიყვანს დიდ კოლიზიებამდე და კატასტროფამდე.

მუდმივი ცვლა თავისთავად არღვევს ყოველგვარ ბარიერს სტრატებსა და რეგიონებს შორის. ამ მოვლენის მხოლოდ კომუნიკაციების ზრდისათვის მიწერა შეცდომა იქნებოდა. ენტროპიული პროცესები შეუქცევადი ხდება. თუ აგრარულ ხანაში იზოლაციონიზმი ზოგჯერ დადებით როლს თამაშობდა, ხელს უწყობდა თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ახალ დროებაში იგი აშკარად რეაქციულ ელფერს იღებს და საზოგადოება რეგრესის გზით მიჰყავს.

დიდი გარდაქმნები შეეხო ყველა სფეროს, საჭირო ხდება მთელი საზოგადოების გარკვევა მიმდინარე პროცესებში, ამან არნახულად გაზარდა განათლების როლი. განათლების სისტემა განიცდის არა მარტო მოცულობით, არამედ თვისობრივ ცვლილებასაც. თუ წინარე განათლების სისტემა ცალკეული, ავტონომიური ჯგუფების ხელში იყო (რელიგიური თუ სამხედრო წოდება, თემის უხუცესები და ა.შ.), ახლა მასზე ზედამხედველობას თვით სახელმწიფო აწესებს. პატარა ჯგუფის პრაქტიკული განათლება იცვლება ცენტრალიზებული სისტემით. სახელმწიფოს მონოპოლია ძალადობაზე იცვლება სახელმწიფოს მონოპოლიით განათლებაზე.

ახალი სისტემისათვის დამახასიათებელია საწყისი განათლების უნიფიკაცია, ვიწრო სპეციალიზაცია ფაქტიურად განათლების ბოლო ეტაპზე ხდება. ამით ეს სისტემა განსხვავდება წინარე ეპოქის სისტემისაგან, სადაც ვიწრო სპეციალიზაცია თავიდანვე იყო განსაზღვრული. ამიტომ აგრარული ხანის ბოლო ეტაპის საზოგადოებისათვის უფრო ვიწრო სპეციალიზაცია იყო დამახასიათებელი, ვიდრე მომდევნო ხანაში გვხვდება.

საყოველთაო განათლება საყოველთაო მაღალ კულტურას ქმნის, რაც თავის მხრივ ზემოაღნიშნულ მამელუქიზაციას ედება საფუძვლად.

პოსტმოდერნისტთა აზრით სწორედ ეს უნიფიკაცია არის ნაციონალიზმის აუცილებელი პირობა. სწორედ ამ გარემოების გამო ნაციონალიზმი, მისი პოსტმოდერნისტული გაგებით, მხოლოდ ინდუსტრიული ხანის დადგომის შემდეგაა შესაძლებელი.

აქ აუცილებლად ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. მოსალოდნელია, რომ ზემოაღნიშნული ნიშნებიდან ზოგიერთი ჯერ კიდევ აგრარულ ხანაში იქნას გამოვლენილი, ამიტომ ზოგ ერს შესაძლოა ამ დროში უკვე გააჩნდა ნაციონალიზმის მსგავსი გრძნობა (მაგ. ჩინელებს, რომელთაც მძლავრი ეროვნული სახელმწიფო მანქანა ჰქონდათ და ებრაელებს, რომელთა თემებშიც ფაქტიურად ყველა მამაკაცი წერა-კითხვის მცოდნე იყო). მაგრამ უმთავრესი მაინც ის გარემოებაა, რომ ნაციონალიზმის მსგავსი გრძნობის არსებობა აქ მხოლოდ გამონაკლისის სახით უნდა დავუშვათ, რადგან ამ უკანასკნელის შემქმნელი ატმოსფერო ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ინდუსტრიულმა ეპოქამ ეთნიკურ ერთეულებს ახალი მოთხოვნები წამოუყენა. როგორც ცნობილია, ეთნოსთა თუ ეროვნებათა საერთო რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემებით, 5.000-დან 8.000-მდე მერყეობს. ბუნებრივია ისმის კითხვა, ყველა ეს ერთეული შეძლებს შექმნას თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა?

დღესდღეობით მსოფლიოში 200-მდე სახელმწიფო არსებობს. ამ უკანასკნელთა არსებობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად გარკვეული ოდენობის ტერიტორიის ფლობაა მიჩნეული, სადაც მათ თავიანთი სასიცოცხლო ფუნქციების განხორციელება შეუძლიათ. ჩვენ რომ თუნდაც ათჯერ გავზარდოთ პერსპექტიულ სახელმწიფოთა რიცხვი, ყველა ეთნოსს საკუთარი პოლიტიკური ერთეულით მაინც ვერ

დავაკმაყოფილებთ. აქედან გამომდინარე, ეთნოსთა გარკვეული ოდენობა სახელმწიფოებრიობის გარეშე დარჩება.

აქ თავს იჩენს ახალი პრობლემა, თუ რა კრიტერიუმით უნდა შეფასდეს "ღირსეული" კანდიდატები.

რაგინდ პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, ამ შერჩევას თვითონ ეს კანდიდატები ახდენენ. საკუთარი სახელმწიფოს ქონა თავისთავად მრავალ პრობლემასა თუ პასუხისმგებლობის მომენტს ბადებს, ამიტომ ის ეთნოსი, რომელიც არ არის დარწმუნებული თავის ძალებში, როგორც წესი, არც იწყებს ბრძოლას თვით დამკვიდრებისათვის.

დღეისათვის მსოფლიოში, ისევ სხვადასხვა მონაცემებით, 100-200 ერი არსებობს. ეს რიცხვი რომც გავაორკეცოთ და მეტადაც გავზარდოთ, თვით მათი ასეთი სიმცირე, პოსტმოდერნისტების აზრით, ნაციონალიზმის სისუსტეზე მეტყველებს. მართლაც 8.000 პოტენციური ნაციიდან მხოლოდ 200-ის რეალიზება ნაციად მეტად საგულისხმო ფაქტია.

ბრძოლა მიმდინარეობს არა მარტო ზოგადად ტერიტორიისათვის, არამედ გარკვეული ტერიტორიისათვის, რაც ირედენტიზმში, ე.წ. "ისტორიული" მიწების შემოერთების ლოზუნგში ჰპოვებს ასახვას. თვით ეს პრობლემა ცალკე მსჯელობის საგანია, ამიტომ მასზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

შემდეგი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დგება, არის საკითხი საკუთარი სახელმწიფოს მიზანშეწონილობის შესახებ.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ინდუსტრიულ ხანაში კულტურა მასობრივი ხდება. ცალკეულ თემს უკვე აღარ ძალუძს თვითონ მოაგვაროს კულტურმატარებელთა აღწარმოება, ეს უკანასკნელი უფრო მძლავრი ორგანიზაციის, სახელმწიფოს ხელში გადადის. იქმნება განსაზღვრული გარემო, "აკვარიუმი", რომლის წიაღშიც ამა თუ იმ საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ დაიკმაყოფილონ თავიანთი სულიერი თუ ხორციელი მოთხოვნები.

წინააგრარულ და აგრარულ ხანაში არსებული ველური, თვითმართვადი, დამოუკიდებელი კულტურები ინდუსტრიულ ხანაში გარდაიქმნებიან მფარველობის ქვეშ მყოფ, საზოგადოებრივ სტრუქტურებზე დამოკიდებულ, "ბაღის" კულტურებად. ეს უკანასკნელნი ისევე ვერ დაუბრუნდებიან თავდაპირველ მდგომარეობას, როგორც ინდუსტრიული საზოგადოება ვერ დაბრუნდება აგრარულ ხანაში. სწორედ ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გარემოებას, თუ ვინ იცავს აღნიშნულ კულტურას. რადგან დამცველის ფუნქცია მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება იკისროს, დღის წესრიგში დგება საკითხი, რამდენადაა სახელმწიფო დაინტერესებული ამ დაცვით.

თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფო დაიცავს იმ კულტურას, რომელსაც იგი ეყრდნობა, როგორც ქვეშევრდომთა გამაერთიანებელ და მაორგანიზებელ ძალას. მაგრამ რამდენად დაიცავს იგი უცხო კულტურას, რომელიც მისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებობს ეროვნულ უმცირესობათა კულტურების თუ სხვა სახით, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კულტურის მატარებლებსაც დროთა ვითარებაში შეუძლიათ გაუჩნდეთ საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნის პრეტენზიები? გასაგებია, რომ რადგანაც "თავისუფალი" მიწები ინდუსტრიულ ხანაში პლანეტაზე აღარ დარჩა, ახალი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნა რომელიმე ძველი ერთეულის ხარჯზე მოხდება. ამიტომ გასაგებია ის სიფრთხილე, რომლითაც მპყრობელი ერები უდგებიან მცირე ერთა სწრაფვას ავტონომიებისაკენ და გასაგებია ის უნდობლობაც, რაც მცირე კულტურის მატარებლებს გააჩნიათ თავიანთთვის უცხო კულტურის კუთვნილი სახელმწიფოს მიმართ. აქ თავს იჩენს ტიპიური ურთიერთობა დედინაცვალსა და გერს შორის.

სწორედ ამავე მიზეზით შეუძლებელია ზემოაღნიშნულ "აკვარიუმთა" შერწყმა ერთმანეთთან. მიუხედავად ამ უკანასკნელთა პრინციპული ერთგვარობისა, მათ შორის არის მთელი რიგი განსხვავებებისა. არსებობს მრავალი მიზეზი არშერწყმისათვის და არ არსებობს არავითარი მიზეზი

შერწყმისათვის. ამიტომ პოსტმოდერნისტებს არასწორად მიაჩნიათ თეზისი იმის შესახებ, რომ ინდუსტრიულ საუკუნეში ცხოვრების დონის ზრდა გამოიწვევს ერთა ურთიერთშერწყმას. ფ.რეველის სიტყვებით რომ ვთქვათ: ერები არ გვანან ერთმანეთს - ისინი არ იყვნენ ერთნაირნი სიღარიბეში, არ იქნებიან ერთნაირნი სიმდიდრეშიც.

აქ არავითარი ცინიზმი არ არის. ესაა უბრალო პრაგმატიზმი, რომელიც ინდუსტრიული საზოგადოების დამახასიათებელი თვისებაა. ამიტომ სახელმწიფოს არმქონე ერთა წინაშე დგება დილემა: ან შეეგუონ უცხო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფნის ფაქტს, ე.ი. ვერ შექმნან საკუთარი საარსებო გარემო და დროთა განმავლობაში შეერიონ გაბატონებულ კულტურას, ან მიაღწიონ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას და თანამედროვე ტიპის ნაციებად გაფორმდნენ. ბუნებრივია, საქმე მხოლოდ სურვილი არ არის, არსი მდგომარეობს იმაში, რამდენად შეუძლია ამა თუ იმ კულტურას განახორციელოს თავისი ამბიციები.

პოსტმოდერნისტული აზროვნება, განიხილავს რა ზემოაღნიშნულ საკითხებს, ბოლოს იძლევა ნაციის მისეულ განსაზღვრას. ერნესტ გელნერის განმარტებით - ნაციები არიან ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ იარსებონ როგორც თანამეგობრობებმა.

ნაციონალური აზროვნების უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენს თავისი უპირატესობის განსაკუთრებული აღქმა. ემილ დურკჰეიმის აზრით ნაციონალიზმი, როგორც ასეთი, გარკვეულწილად რელიგიის შემცვლელად გვევლინება. თუ რელიგიის დახმარებით ადამიანი ღმერთის სახით ფაქტიურად საკუთარ თავს ცემდა თაყვანს, ერის თაყვანისცემა უკვე ღია, აშკარა თვითთაყვანისცემაა.

ყოველივე ზემოთქმული გვაიძულებს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ნაციონალიზმი კონფლიქტების გარეშე ვერ იარსებებს. მისი გზა შეიძლება იყოს ნაკლებ მსხვერპლიანი, მაგრამ აბსოლუტურად უმსხვერპლო ვერ იქნება.

ნაციონალიზმის გამოვლინებები ყველგან ერთნაირი არ არის. რეგიონალური განსხვავებები რამდენიმე ზონის გამოყოფის საშუალებას იძლევა. ესენია ლათინური ამერიკა, ჩრდილოეთ ამერიკა, აფრიკა, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, შორეული აღმოსავლეთი, დასავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ ევროპა, მახლობელი აღმოსავლეთი. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელი სამი.

აღნიშნული დაყოფის გარდა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კულტურული ფაქტორი. ცალკე ზონებადაა გამოსაყოფი მაგალითად ჩრდილოეთ ევროპა სადაც პროტესტანტული ეთიკაა გაბატონებული, ისლამური ქვეყნები, აღმოსავლეთ აზიის ბუდისტურ-კონფუციანური მორალის მქონე რეგიონი და ა.შ..

აქვე უნდა აღინიშნოს ზოგიერთი თვისობრივი მსგავსება მთელ რიგ ზონებს შორის. მაგალითად ფუნდამენტალიზმის ზრდას ისლამურ ქვეყნებში ზოგი მკვლევარი რეფორმაციის ხანის პროტესტანტული ეთიკის სიმკაცრესთან აკავშირებს.

საყურადღებოა იმ კავშირთა განხილვაც, რომლებიც სხვადასხვა ეთნოსს შორის ძალაუფლებისა და განათლების განაწილებისას ვლინდება. აქ ძირითადად რვა ტიპია გამოვლენილი. ეს დაკვირვება ორი ცვლადის გამოყენებით იქნა ჩატარებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ ცვლადთა რიცხვის გაზრდა ახალი პარამეტრების შემოტანის გზით კიდევ უფრო გაზრდის ტიპთა რაოდენობას. თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

რა თქმა უნდა, ნაციონალიზმის პრობლემის არსი ამით სრულიადაც არ ამოიწურება. აქ მხოლოდ ზოგიერთი სოციოლოგიური ფაქტორი იქნა განხილული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობენ სხვა მახასიათებლებიც (ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და ა.შ.). არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ აქ არაპრაგმატული ფაქტორებიც მოქმედებენ. მაგალითად კულტურა, როგორც წესი, უყვართ მის მატარებლებს და ამის უარყოფა არ შეიძლება.

დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი:

1= წინააღმდეგ ადრე გაბატონებული შეხედულებებისა (მარქსიზმი, ლიბერალიზმი, ანარქიზმი), ინდუსტრიულ ეპოქაში ნაციონალიზმი არა თუ ისპობა, არამედ მაშინ იძენს სრულყოფილ ფორმას;

2= აღნიშნულ ეტაპზე ამ მოვლენის წარმოჩენა ხდება საკმაოდ აგრესიული ფორმებით, განსაკუთრებით იქ, სადაც მან რამდენიმე საუკუნით დაიგვიანა (აღმოსავლეთ ევროპა, მახლობელი აღმოსავლეთი და სხვ.);

3= პოზიციათა გარკვევის, აგრესიული ნაციონალიზმისა და კულტურული შოვინიზმის ტალღის გადავლის შემდეგ სიწყნარე ისადგურებს (დასავლეთ ევროპა), მაგრამ ეს ნაციონალიზმის გაქრობაზე კი არ მეტყველებს, არამედ ამ უკანასკნელის თვისობრივად ახალი ეტაპის დასაწყისზე;

4= ნაციონალიზმის გამოვლენა განსაკუთრებული სიმწვავით ინდუსტრიულ საზოგადოუბაში მიმდინარეობს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსგავსი პროცესები აგრარულ ხანაში არ ხდებოდა. უბრალოდ, მათ არ ჰქონდათ ის სრულყოფილი, გლობალური, ყოვლისმომცველი და აუცილებელი ხასიათი, როგორც ჩვენს დროში. აქ დიალექტიკის, კერძოდ ჰეგელის რაოდენობრივის თვისობრივში გადასვლის უნივერსალური კანონის გახსენებაც არ გვაწყენდა;

5= ინდუსტრიული ხანისათვის ის მრავალფეროვნება და დიფუზიურობა, რაც აგრარულ ხანაში აღინიშნება, სიმარტივითა და საზღვრების სიმკვეთრით იცვლება;

6= და ბოლოს, არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ ავღნიშნოთ ის სემანტიკური სუმბური, რომელიც თანამედროვე თეორიათა ტერმინოლოგიაში გვხვდება და რომლის უნიფიკაციაც მომავლის საქმეა.

3. ქართველთა ეთნიკური ცნობიერების გენეზისი

1997 წლის მარტში ქართულ-გერმანულ კონფერენციაზე
"ეთნიკურობის ფორმები გუშინ და დღეს"
წაკითხული მოხსენება

პრობლემის არსი

კავკასიაში დღეისათვის შექმნილი ვითარება კარგადაა ცნობილი. ეს რეგიონი პოსტკომუნისტურ სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე რთულ რეგიონად არის მიჩნეული. პრობლემის სირთულე მდგომარეობს არა მარტო კონფლიქტთა მრავალმხრივობაში, არამედ იმაშიც, რომ არ არსებობს ამ უკანასკნელთა დარეგულირების არავითარი მექანაზმი.

საერთოდ, ნაციონალისტური მოძრაობის მკვეთრმა აღმავლობამ ტოტალიტარული სისტემის დაშლის შემდეგ ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულ მოძღვრებათაგან (ლიბერალიზმი, ანარქიზმი, მარქსიზმი და ა.შ.) ფაქტიურად არც ერთი არ ელოდა მოვლენათა ასეთ განვითარებას.

ზემოაღნიშნული დოქტრინები ნაციონალიზმს საზოგადოების განვითარების გარკვეული ეტაპისათვის დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევდნენ, რომლის დრო უკვე გავიდა ან ახლა გადის. რეალობამ დაასაბუთა ამ თეზისის სიმცდარე, ამიტომ საჭირო გახდა მოძებნილიყო მიმდინარე მოვლენათა ახალებური ახსნა.

ყველასათვის მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მიუხედავად უზარმაზარი კვლევისა, დღესდღეობით არ არსებობს ერთიანი შეხედულება არსებული პრობლემის ირგვლივ. ეს ეხება როგორც ცალკეული ნაციების განვითარების გზების შესწავლას, ისე ზოგადად ნაციონალიზმის, როგორც ასეთის, არსის ახსნას.

არსებული შეხედულებანი

ნაციონალიზმის ბუნების შესახებ თავიდანვე ორი, ერთმანეთისადმი დიამეტრალურად საპირისპირო აზრი გამოიკვეთა. პირველი - პრიმორდიალისტური - ნაციათა და, აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმის, არსებობას ისტორიის მთელ მანძილზე ვარაუდობდა და ეს უკანასკნელი თითქმის ბიოლოგიურ კატეგორიად მიაჩნდა. მეორე, მოდერნისტული, მოსაზრება, ნაციათა გენეზისის ხანად XIX-XX საუკუნეებს მიიჩნევდა.

ორივე ზემოაღნიშნულ მოსაზრებას თავისი უკიდურესობანიც გააჩნდა. ერთის მხრივ, ეს იყო ეროვნულ მოძრაობათა ლიდერების უკიდურესი, ფაქტიურად პრივიტივიზმამდე დასული ნაციონალიზმი, ხოლო მეორეს მხრივ უკიდურესი ნიჰილიზმი აღნიშნული პრობლემისადმი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ამ ორ მიმდინარეობას შორის დაპირისპირების მოხსნა შესაძლებელია, თუ გადაწყდება ორი პრობლემა.

უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემი ხდება ის გარემოება, რომ არ არსებობს არა თუ ერთიანი მიდგომა, არამედ არ არის შემუშავებული ერთიანი ტერმინოლოგიაც. ხშირ შემთხვევაში ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვა გააჩნია.

მეორე პრობლემას ქმნის საკითხის აბსოლუტური უნიფიცირების მცდელობა. როგორც წესი, მცირე ყურადღება ექცევა რეგიონალურ თავისებურებებს და აქცენტი ძირითადად მათ შორის არსებულ საერთოზე კეთდება. ეს, ბუნებრივია, ვერ ხსნის ლოკალური კულტურების განსხვავებული განვითარების წარმომშობ მიზეზებს.

პოსტმოდერნისტული შეხედულება ცდილობს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარება დასავლეთ ევროპული მოდელის მიხედვით წარმოადგინოს. პოსტმოდერნისტთა განსაზღვრებით ნაციონალიზმი - ეს არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც კულტურული და სახელმწიფოებრივი საზღვრები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდნენ.

მაგრამ უმთავრესი პრობლემა, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ არის მცდელობა ნაციონალიზმის გენეზისი და განვითარება გარკვეული კრიტერიუმების ჩარჩოებში იქნეს მოქცეული. ეს იწვევს პრობლემის კვლევის მეტისმეტ ფორმალიზებას, რასაც საბოლოოდ მცდარ შედეგებამდე მივყავართ.

ზემოთქმულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თვითონ ნაციონალიზმის განმარტების პრობლემა. როგორც ვიცით, ნაციონალიზმს ინდუსტრიული ხანის პირმშოდ თვლიან. მისი განმარტების მიზნით ხშირად მოაქვთ ისეთი ნიშნები, რომლებიც მხოლოდ ინდუსტრიულ ეპოქაში გვხვდება. აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ნაციონალიზმის არსებობა აგრარულ ხანაში დაუშვებელია. თავიც რომ დავანებოთ ამ მეტისმეტად პირობით განსაზღვრებებს, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ერთი გარემოება: მომავალში შესაძლოა აღნიშნული პრობლემის განმარტების მიზნით შემოღებული იქნას ახალი კრიტერიუმები, რომელთა არსებობა დღეს არ შეინიშნება. ლოგიკურია, რომ ამ შემთხვევაში მივალთ თანამედროვე ეპოქაში ნაციონალიზმის უარყოფამდე.

მეორეს მხრივ, ასევე უარსაყოფია პრიმორდიალისტთა შეხედულება ნაციონალიზმის, როგორც "ბუნებრივი", ბიოლოგისტური წარმოშობის შესახებ. ამ შეხედულების კრიტიკა საკმაოდაა ცნობილი, ამიტომ ამჟამად მასზე აღარ შევჩერდებით.

აღნიშნული მოსაზრებების გარდა ნაციონალიზმის შესახებ არსებობს მესამე თვალსაზრისი, რომელიც აღნიშნულ მოვლენას განიხილავს არა როგორც უცვლელ მდგომარეობას, არამედ როგორც უწყვეტ პროცესს, რომელიც ეთნოსის არსებობის მთელ მანძილზე მიმდინარეობს და ფაქტიურად მისი სიკვდილით სრულდება (თუ რა თქმა უნდა, ასეთი რამ მოხდა).

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება ყველაზე მეტად შეესაბამება რეალობას. მართლაც, მეტად ძნელია მითითებული იქნეს რაიმე ქრონოლოგიური წერტილი, რომლის შემდეგაც ეროვნული შეგნება იწყებს არსებობას. როგორც ითქვა, ეს მთლიანი, უწყვეტი პროცესი უნდა იყოს და საყოველთაო უნივერსალიას უნდა წარმოადგენდეს.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს ლოკალური განსხვავებანი. ცალკეული ეთნოსების განვითარების პროცესში, ბევრ საერთოსთან ერთად, ბუნებრივია, ადგილი აქვს ორიგინალურ, ინდივიდუალურ ნიშნებსაც, რეგიონალურ თუ ეპოქალურ დონეებზე. ეს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლის გაუთვალისწინებლობა და საყოველთაო უნიფიკაცია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

სწორედ ეს მოსაზრებები უნდა დაედოს საფუძვლად ქართველი ერისა და ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის წარმოშობა-განვითარების ისტორიის კვლევასაც.

წინააგრარული პერიოდი

ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელსაც ამ შემთხვევაში უნდა მიექცეს ყურადღება, არის აღნიშნული ეთნოსის მრავალმხრივი კავშირი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ ცივილიზაციებთან.

ქართული ეთნოსის განვითარების საწყის ეტაპზე საკმაოდ ძლიერი კონტაქტები არსებობდა ძველაღმოსავლურ სამყაროსთან, ანტიკურ ხანაში საქართველო ეცნობა ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციას, და აქედან გამომდინარე, ევროპულ რაციონალიზმსაც. შუა საუკუნეების დასაწყისში ქრისტიანობის მიღებამ ქვეყანა ევროპული ფეოდალიზმის განვითარების გზით წაიყვანა, ისლამური სამყაროს მეზობლობამ და აზიის სტეპების მომთაბარეებთან საუკუნოვანმა კონტაქტებმაც დიდი როლი ითამაშეს მის განვითარებაში. ყოველივე ზემოთქმულს გარდა, არსებობის მთელ მანძილზე ქართველები თანაარსებობდნენ მეზობელ ხალხებთან და მათთან ერთად ქმნიდნენ კავკასიურ კულტურულ სამყაროს.

ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ქართული კულტურა არ ეკუთვნის არც ძველაღმოსავლურ, არც ისლამურ, არც აზიურ და არც ევროპულ-ქრისტიანულ ცივილიზაციებს და საკმაოდ ორიგინალურ კულტურას ქმნის.

ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს, თუ როგორ ვითარდებოდა ქართველთა ეთნიკური თვითშეგნება ამ უკანასკნელის არსებობის ისტორიის მთელ მანძილზე.

შემდეგი, და ჩვენი აზრით უმთავრესი, საკითხი, ესაა ეროვნული კუთვნილების განსაზღვრის პრობლემა. აქ თავს იჩენს ორი ფაქტორი: პირველი - ობიექტური, როცა ადამიანები ეკუთვნიან ერთიან კულტურას და მეორე - სუბიექტური, როცა ადამიანები ცნობენ ერთმანეთს ერთი კულტურის წევრებად.

თუ სუბიექტური ფაქტორის წარმოშობის დროის დადგენა ზემოაღნიშნულ თეორიებში დიდ კამათს იწვევს, ობიექტური ნიშნის არსებობა უკვე უძველესი დროიდან, ეთნოსის გაჩენის ხანიდან არის სავარაუდებელი. ამის ყველაზე ნათელ მაგალითად შეიძლება მეტყველების გენეზისი, კერძოდ სხვადასხვა ენობრივი ერთობების ჩამოყალიბება მოვიტანოთ.

დამოუკიდებელი ენის, როგორც თვითიდენტიფიკაციის საშუალების, გაჩენა და ამით სამყაროსთან ენის მატარებელი ხალხის დაპირისპირება ოპოზიციით "ჩვენ - ისინი", უკვე აშკარად მეტყველებს ობიექტური, და, გარკვეულწილად, სუბიექტური ფაქტორების არსებობაზე.

მეზოლითიდან მოყოლებული ვიდრე ანტიკური ხანის დასაწყისამდე თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მეტად რთული, და ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაპირისპირო, პროცესების მთელი წყება. ქართველ ტომებს კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ აფხაზურ-ადიღეურ, ნახურ- დაღესტნურ, ხური-ურარტულ, ხათურ (პროტოხეთურ), პელაზგურ, ინდოევროპულ (ხეთურ, არიულ (ინდოირანულ), სომხურ და ა.შ.) მასივებთან; ასევე ძველი აღმოსავლეთის მთელ რიგ სახელმწიფოებთან (ხეთებისა და ასურეთის იმპერიებთან, მითანსა და ურარტუსთან და სხვ.). ადამიანური ფაქტორის გარდა ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბუნებრივი გარემოც (ირიგაციის აუცილებლობა აღმ. კავკასისში, ტენის სიჭარბე დას. საქართველოში, მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო მთის საძოვართა სიუხვე და ა.შ.).

სწორედ ამ ეპოქაში, კერძოდ ბრინჯაოს ხანაში, ხდება ქართველური ენების ფორმირება ქართულ, ზანურ და სვანურ განშტოებებად. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ეროვნულობის განმსაზღვრელი სუბიექტური ფაქტორი ჯერ კიდევ არ არსებობს - ქართველური ენების მატარებელი ტომები ეთნიკურ ერთობებად არ
ყალიბდებიან.

არსებობის საწყის ეტაპზე ქართველურ ტომებს საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ძველაღმოსავლურ სამყაროსთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელის მენტალიტეტი კავკასიელთათვის ბოლომდე უცხო დარჩა. შესაძლოა ამის მიზეზი გეოგრაფიული გარემოსა და, აქედან გამომდინარე, ცხოვრების წესის სხვადასხვაგვარობაში უნდა ვეძებოთ. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ აღნიშნულმა ათასწლოვანმა კავშირებმა აბსოლუტურად უკვალოდ ჩაიარეს.

ანტიკური ხანა და ელინიზმის დასაწყისი ამიერკავკასიისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა. ელინიზმის უმთავრესი პრინციპი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაერთიანება, მისაღები აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ეთნოსებისათვისაც. სწორედ ამ დროს იქმნება პირველი "კავკასიური" სახელმწიფოები. ქართული, სომხური და ალბანური სახელმწიფოებრიობა განსხვავებული გზებით ყალიბდებოდა, მაგრამ მათ მრავალი საერთოც აერთიანებდა.

ასეა თუ ისე, ქართველი ეთნოსისათვის დაიწყო არსებობის პრინციპულად ახალი, სახელმწიფოებრივი ცხოვრების, ეტაპი. აქვე გვსურს გავიხსენოთ ჰეგელის თეზისი იმის თაობაზე, რომ ნაციათა ისტორია სახელმწიფოთა გაფორმებით იწყება, ხოლო ადრეული ეტაპი წინაისტორიად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ერთა წარმოშობის ვადები სხვადასხვა ხდება. ამას არც პოსტმოდერნისტული თეორიები უარყოფენ. ფაქტიურად აქ კვლავ სემანტიკის პრობლემა იჩენს თავს.

სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება ზოგადად და კერძოდ საქართველოში თავისთავად მეტად საინტერესო თემაა, მაგრამ იგი გადის ჩვენი ამჟამინდელი ინტერესის სფეროდან და ამიტომ მასზე მეტად აღარ შევჩერდებით.

თვითიდენტიფიკაციის პრობლემა

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ეთნოსის მიმართება საკუთარ ეთნიკურ ცნობიერებასთან. უკვე არაერთგზის აღინიშნა, რომ ეთნიკურ თვითშეგნებას ორი ასპექტი ახასიათებს. ობიექტურად ეთნოსის არსებობა მატერიალური და სულიერი კულტურის არსებობით მტკიცდება. მართლაც, ერთიანი არქეოლოგიური კულტურები და არქიტექტურა, ერთიანი ტომთაშორისი ენა, ერთი სახელმწიფო, მოგვიანებით დამწერლობის ორიგინალური და, შეიძლება ითქვას, საერთოეროვნული

სისტემის შექმნა, ერთნაირი ცხოვრების წესი და ა.შ. - მეტყველებს იმაზე, რომ ეთნოსი რეალურად არსებობს.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორს, თუ რამდენად ცნობენ ეთნოსის წევრები საკუთარ თავსა და ერთმანეთს ერთი კულტურის, ერთი ერის წევრებად, აქ გარკვევა ბევრად უფრო ძნელია. პირდაპირი მასალები ამ შემთხვევაში არ არსებობს და პრობლემის ასახსნელად სხვა, შემოვლითი გზები უნდა ავირჩიოთ. უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავერკვეთ, რას წარმოადგენს იმ ეპოქის საზოგადოება.

აგრარულ ხანაში მეტად თვალშისაცემი იყო განსხვავება ელიტასა და მასას შორის. ელიტის სტრუქტურა ჰორიზონტალური პრინციპით (საერო და საკულტო არისტოკრატია, იერარქიულობის მკვეთრი დაცვა და ა.შ.) იყო აგებული. დაბალი ფენები ვერტიკალურ სისტემაში იყვნენ მოქცეულნი, ისინი ერთიანდებოდნენ თემებში, რომლებიც უშუალოდ, ერთმანეთთან კავშირის გარეშე, ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურებს.

ყოველივე ეს აგრარულ საზოგადოებაში ქმნიდა სტაბილურობის ატმოსფეროს. ერთმანეთის გვერდით არსებობდა მრავალი კულტურა. ეს ითქმის როგორც ერთი პოლიტიკური ერთეულის შემადგენლობაში მყოფ სხვადასხვა ეთნოსთა კულტურებზე, ისე ერთი ეთნოსის შიგნით არსებულ რეგიონალურ თუ სოციალურ-წოდებრივ განსხვავებებზე. ეს კულტურები, როგორც წესი, არ ნთქავენ ერთმანეთს. მართალია ხშირია ურთიერთშევიწროების მაგალითები, მაგრამ რომელიმე კულტურული სუბიექტისათვის მეზობელი კულტურის განადგურება არ წარმოადგენს საციცოცხლო აუცილებლობას.

აგრარულ საზოგადოებაში განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურზე დგანან დამწერლობის მქონე კულტურები, ისეთები, როგორიცაა საეკლესიო ან არისტოკრატიული კულტურები. ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, არ ავიწროებენ მასის, დაქვემდებარებულ (გლეხთა და ა.შ.) კულტურებს. უფრო მეტიც, ისინი ქმნიან მთელ რიგ ბარიერებს მაღალ და დაბალ სოციალურ ფენებს შორის.

ბუნებრივია, აღნიშნულ ეპოქაში მასას არ ჰქონდა და არც ჭირდებოდა ეთნიკური თვითშეგნება, იგი ობიექტურად ქმნიდა ეთნიკურ კულტურას. განსხვავებული მდგომარეობა უნდა შექმნილიყო ელიტაში, სადაც გარკვეული თვითიდენტიფიკაციის აუცილებლობა უკვე იდგა დღის წესრიგში.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ელიტა ატარებდა ერის როგორც ობიექტურ, ისე, ნაწილობრივ, სუბიექტურ მახასიათებლებსაც.

განვითარების საფეხურები

რა თქმა უნდა, ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბება არ წარმოადგენდა ერთჯერად აქტს. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომელშიც რამდენიმე ეტაპობრივი ნაბიჯი გამოიყოფა.

პირველ საფეხურს წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის დაფუძნება (ძ.წ. VI-IV ს.ს.). როგორი სკეპტიციზმითაც არ უნდა მოვეკიდოთ განვითარების ამ დონეზე ეთნიკური თვითშეგნების არსებობის ფაქტს, უდაოა, რომ პოლიტიკური სისტემა გარკვეულ მაიდენტიფიცირებელ კრიტერიუმებზე იყო დაფუძნებული. სახელმწიფო, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი კონტრაქტის რეალიზაციას წარმოადგენს, რაც გარკვეული პირობების არსებობაზე მიგვითითებს.

მეორე ეტაპი დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასა და ამ უკანასკნელის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან (ა.წ. IV ს.). მართლმადიდებლური იდეოლოგია ჯერ ელიტისათვის, ხოლო შემდეგ მასისათვის, თანდათან ეთნიკური იდენტიფიკაციის უპირველესი საშუალება ხდება.

X ს. ქართულ ეთნიკურ ცნობიერებაში ჩნდება ახალი ფაქტორი - ენა. მხედველობაში გვაქვს ცნობილი ჰიმნოგრაფის, იოანე-ზოსიმეს "ქებაი და დადებაი ქართულისაი ენისაი". ქრისტიანობის გვერდით

ჩნდება თვითდამკვიდრების კიდევ ერთი საშუალება. აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია დას. ევროპულ სამყაროში, სადაც ამ დროისათვის ლათინური მწიგნობრობაა გაბატონებული.

შემდეგი ფაქტორი, რომელზედაც გვსურს გავამახვილოთ ყურადღება, არის საერთოკავკასიური ერთობის აღქმის საკითხი. დღეისათვის უცნობია, თუ როდის ისახება ეს იდეა. ფაქტია, რომ XI ს. იგი უკვე არსებობს. ამ ეპოქის ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის თხზულებაში კავკასიელთა საერთო წარმოშობისა და ერთიანობის აუცილებლობის იდეები უკვე აშკარად სახეზეა.

XII-XIII ს.ს. მიჯნა, ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერების მწვერვალი, ეთნიკური შეგნების ბაზის გაფართოებით აღინიშნება. ამ პერიოდში, ე.წ. "აღმოსავლური რენესანსის" ხანაში, აღმოსავლური ქრისტიანობა იქცა თავისებურ ხიდად შედარებით განვითარებული ისლამური სამყაროდან დასავლეთ ევროპაში კულტურული მიღწევების გადაცემის გზაზე. აღმოსავლური კულტურის მიღწევების გაცნობასთან ერთად ქრისტიანულ სამყაროს კვლავ მიეცა საშუალება გაეხსენებინა ანტიკური მემკვიდრეობა, რომელიც ისლამმა უკეთ შემოინახა.

ამ პერიოდში საქართველოში მეტად გაიზარდა განათლების როლი. განათლების სისტემა განიცდის არა მარტო მოცულობით, არამედ თვისებრივ ცვლილებასაც. თუ წინარე განათლების სისტემა ცალკეული, ავტონომიური ჯგუფების ხელში იყო (რელიგიური თუ სამხედრო წოდება, თემის უხუცესები და ა.შ.), ახლა მასზე ზედამხედველობას თვით სახელმწიფო აწესებს. პატარა ჯგუფის პრაქტიკული განათლება იცვლება ცენტრალიზებული სისტემით.

მაგრამ ეს არ იყო შეუქცევადი პროცესი, რაც ინდუსტრიული ხანისათვისაა დამახასიათებელი. აქ შეუძლებელი იყო სრული უნიფიკაცია. თუმცა არც ამ უკანასკნელის არსებობის უკუგდება შეიძლება, რა თქმა უნდა, გარკვეულ ფარგლებში. აღიშნულის მაგალითად შეიძლება სალიტერატურო ენის გამარტივება და მისი სასაუბრო ენასთან დაახლოება მოვიტანოთ. ამ ეპოქის ენა, სემანტიკა, ამა თუ იმ პრობლემისადმი მიდგომა უკვე გამოირჩევა პრაგმატიზმითა და ნეიტრალობით.

შემდგომი ეპოქის მოვლენებმა, მუდმივმოქმედმა საგარეო ფაქტორმა, რასაც კულტურული (ამ სიტყვის ფართო გაგებით) სტაგნაცია და რეგრესი მოჰყვა, მეტად გააძლიერა ტრაიბალიზმისა და სეპარატიზმის პოზიციები. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყოველივე ამან ეთნიკური მენტალობისათვის უკვალოდ ჩაიარა.

ისლამური სამყაროს შემოტევამ ეთნიკური კონსოლიდაციისა და თვითიდენტიფიკაციის მთავარ ფაქტორად ქრისტიანობა აქცია. თავისთავად საკითხის ასე დაყენება უკვე უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ეროვნული ცნობიერების გენეზისის ფორმირების გზაზე.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ კულტურული აღორძინების დაწყებასთან ერთად (XVII-XVIII ს.ს. მიჯნა) იწყება ენის, როგორც თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალების, როლის ხელახალი ზრდა. აღნიშნულ პროცესს იმ გარებოებამაც შეუწყო ხელი, რომ აუცილებელი გახდა ისლამთან გარკვეული პოლიტიკური და კულტურული კომპრომისი.

მაგრამ ქრისტიანობის ფაქტორი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს შემდგომი ორიენტაციის საქმეში.

რუსეთის კავკასიაში დამკვიდრების პირველ ეტაპზე ქართულ ცნობიერებაში კვლავ დომინირებდა ერთმორწმუნეობის იდეა. სახელმწიფოებრიობის კრახი და ქართული ელიტის ერთგვარი დაბნეულობა ხელს უწყობდა ამ მდგომარეობის გახანგრძლივებას.

ინდუსტრიული ხანა

XIX ს. II ნახევრის დასაწყისიდან საქართველოში თავს იჩენს ინდუსტრიული ეპოქის მთელი რიგი ნიშნები. ეთნოსი თანდათან ეუფლება განუხრელი ზრდის საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ცხოვრების წესს. მუდმივი ცვლა თავისთავად არღვევს ყოველგვარ ბარიერს სოციალურ ფენებსა და რეგიონებს შორის. ამ მოვლენის მხოლოდ კომუნიკაციების ზრდისათვის მიწერა შეცდომა იქნებოდა. ენტროპიული პროცესები შეუქცევადი ხდება. თუ აგრარულ ხანაში იზოლაციონიზმი ზოგჯერ დადებით როლს თამაშობდა, ხელს უწყობდა თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ახალ დროებაში იგი აშკარად რეაქციულ ელფერს იღებს და საზოგადოება რეგრესის გზით მიჰყავს.

ინდუსტრიული ხანის დასაწყისი საქართველოში აღინიშნება, ერთის მხრივ, სწრაფი სოციალ-ეკონომიური განვითარებით, ხოლო მეორეს მხრივ, დამპყრობლის, რუსეთის იმპერიის, მხრიდან ეროვნული ჩაგვრის გაძლიერებით. ამ ეტაპზე ქართველი ეთნოსის განვითარების გზა, მაგალითად, წააგავს აღმოსავლეთ ევროპის ეთნოსთა მიერ განვლილ გზას და აქ რაიმე ორიგინალურ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. ამავე დროს, განმასხვავებელ სიტუაციას ქმნის ქართულ ელიტაში ძლიერი ისტორიული მახსოვრობის არსებობა.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში ცარიელ ნიადაგზე არ წარმოშობილა. იგი, გარკვეულწილად, XVII-XVIII ს.ს. განმანათლებლობის გაგრძელებას წარმოადგენდა, ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის პროცესში ენის როლის მნიშვნელობის გაზრდითა და რელიგიური ფაქტორის შედარებით უკანა პლანზე გადატანით.

ამავე დროს აღნიშნულ მოძრაობას არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა თანამედროვე ეპოქის მოთხოვნები. იგივე რელიგიური ფაქტორის უკანა პლანზე გადაწევა ახლა უკვე ქრისტიანი და მუსლიმი ქართველების კონსოლიდაციისა და ინტეგრაციის მიზნით ხდება.

მაგრამ ინდუსტრიული ხანის უმთავრეს მოვლენას საყოველთაო უნიფიკაცია წარმოადგენს. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ინდუსტრიულ ხანაში კულტურა მასობრივი ხდება. ცალკეულ თემს უკვე აღარ ძალუძს თვითონ მოაგვაროს კულტურმატარებელთა აღწარმოება, ეს უკანასკნელი უფრო მძლავრი ორგანიზაციის, სახელმწიფოს ხელში გადადის. იქმნება განსაზღვრული გარემო, "აკვარიუმი", რომლის წიაღშიც ამა თუ იმ საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ დაიკმაყოფილონ თავიანთი სულიერი თუ ხორციელი მოთხოვნები.

ყოველივე ეს მწვავედ აყენებს მიმდინარე პროცესებში საზოგადოების თითოეული წევრის გათვითცნობიერების პრობლემას, საკუთარი ეთნიკურ-კულტურული კუთვნილების გათვალისწინებით. არნახულად იზრდება განათლების როლი, რომლის დაცვისა და ორგანიზების ვალდებულებას, როგორც წესი, სახელმწიფო იღებს თავის თავზე.

საქართველოში, სადაც ამ დროისათვის უკვე აღარ არსებობდა ეროვნული სახელმწიფო, ამ ფუნქციის შესრულება ერის ინტელექტუალური ელიტის მიერ მართულმა საზოგადოებრივმა მოძრაობებმა აიღეს თავზე. სწორედ ამ მისიის შესრულება იტვირთა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ".

განათლების სისტემის უნიფიკაციამ და მასში ფართო მასების ჩართვამ ეროვნული იდეა საყოველთაო გახადა. უცხოური უღლის სიმძიმე კიდევ უფრო ამძაფრებდა მიმდინარე პროცესს.

ქართველები, ისევე როგორც ყველა სხვა, გარკვეული კულტურის მქონე დისკრიმინირებული ერი, იწყებენ ბრძოლას კულტურული თვითმყოფადობის, საკუთარი ცხოვრების წესისა და სასიცოცხლო სივრცის ფლობისათვის. ამასთან ეს ბრძოლა მიმდინარეობს არა მარტო ზოგადად ტერიტორიისათვის, არამედ გარკვეული ტერიტორიისათვის, რაც ირედენტიზმში, ე.წ. "ისტორიული" მიწების შემოერთების ლოზუნგში ჰპოვებს ასახვას. თვით ეს პრობლემა ცალკე მსჯელობის საგანია, ამიტომ მასზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ, თუმცა ავღნიშნავთ, რომ ისტორიული მიწების პრობლემა საქართველოში ინდუსტრიული ეპოქის დადგომამდე, XVIII ს. იჩენს თავს, რის მაგალითადაც თუნდაც გეორგიევსკის ტრაქტატის მეოთხე სეპარატული არტიკული შეგვეძლო მოგვეტანა.

XX ს. ნაციონალური მოძრაობა მთელი დამახასიათებლი თვისებებით განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის. მოსახლეობის ფართო ფენებში საბოლოოდ ყალიბდება ერთიანობის გრძნობის შემცველი მენტალობა გარკვეული სახის ერთობის - ნაციისადმი კუთვნილების სახით.

ნაციონალური აზროვნების უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენს თავისი უპირატესობის განსაკუთრებული აღქმა. ემილ დურკგეიმის აზრით - ნაციონალიზმი, როგორც ასეთი, გარკვეულწილად რელიგიის შემცვლელად გვევლინება. თუ რელიგიის დახმარებით ადამიანი ღმერთის სახით ფაქტიურად საკუთარ თავს ცემდა თაყვანს, ერის თაყვანისცემა უკვე აშკარა თვითთაყვანისცემაა.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ინდუსტრიულ ეპოქაში ნაციონალიზმი არა თუ ისპობა, არამედ სწორედ მაშინ იძენს სრულყოფილ ფორმას. საქართველო ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს;

დასასრულ, ორიოდ სიტყვა პერსპექტივებზე.

ნაკლებსავარაუდოა უახლოეს დროში ველოდოთ ნაციონალური ურთიერთობების სიმძაფრის კლებას. ნებისმიერი ნაცია ყოველთვის ცდილობს თვითშენარჩუნებას და ეს ბრძოლა გრძელდება ეთნოსის სიკვდილამდე ან მანამ, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული მისი საციცოცხლო მოთხოვნები. როგორც უკვე ითქვა, საქართველოც არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს - ეთნიკური მიზნის მიღწევის გზაზე მიმდინარე პროცესების ნებისმიერი შენელება უკურეაქციას გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, ახალი, თვისობრივად უფრო მაღლა მდგომი ეტაპის დასაწყისი გახდება.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის წარმოქმნა არ არის ერთჯერადი აქტი ან სტატიური მდგომარეობა. ესაა ხანგრძლივი, ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი, პროცესების წყება. ამიტომ, ჩვენი აზრით, არასწორი უნდა იყოს ერის წარმოშობის დაკავშირება განვითარების ერთ რომელიმე, ცალკე აღებულ ეტაპთან.

გამოყენებული ტერმინოლოგიის განმარტება:

აგრარული ხანა - ეპოქა, რომელიც იწყება საკუთრების წარმოშობითა და სახელმწიფოთა ფორმირებით და წინ უძღვის ინდუსტრიალიზმს.

ეთნოსი - ერთიანი სულიერი და მატერიალური კულტურის მატარებელ ინდივიდთა ერთობლიობა.

ელიტა - საზოგადოების მმართველი, გაბატონებული ფენა, რომლის შემადგენლობა და წილი მოსახლეობაში მუდმივი არ არის.

ენტროპია - ტერმინი, რომელიც გამოიყენება სოციალურ სისტემებში მოუწესრიგებლობის ხარისხის განსაზღვრის მიზნით.

თვითიდენტიფიკაცია - სოციალური ორგანიზმის წევრთა მიერ გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე თავიანთი ერთიანობის შეგრძნება.

ინდუსტრიული ხანა - ეპოქა, რომელიც მოყვება აგრარულ ხანას, მისთვის დამახასიათებელია საზოგადოების უნიფიცირება და მასობრივი წარმოება-მოხმარება.

ირედენტიზმი - პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც აუცილებლად მიიჩნევს ერის მიერ ყველა ისტორიული მიწის შემოერთებას.

მოდერნიზმი - დოქტრინა, რომელიც ნაციის გენეზისს უკავშირებს ისტორიზმის პრინციპს და ნაციონალიზმის წარმოშობა ინდუსტრიული ხანის პროდუქტად მიაჩნია.

პრიმორდიალიზმი - დოქტრინა, რომელიც ეთნიკურ ორგანიზმებზე ავრცელებს ბიოლოგისტურ კრიტერიუმებს.

სემანტიკა - მიმართება ენის ლოგისტიკური სისტემის გამოსახულებასა და მნიშვნელობებს შორის.